www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | კვირა, 16 თებერვალი, 2003 წელი. №45 (257) | ფასი 50 თეთრი


# ადარც სასაცილო და ადარც სატირალი

- მთავრობა გაგვიგიჟდა    მინისტრებს თავი სკკპ ყრილობაზე ჰგონიათ
- პრეზიდენტი, დიდი ხანია, სხვა განზომილებაში ცხოვრობს და იქიდან გვიყვება ქურქის ზღაპარს
- კარის ინტელიგენტები - ანუ "ფილარმონიის ლომები" - ილანძღებიან და იმუქრებიან

თამარ ხორბალაძე

*- "ეს რა მარაზმია? რა შეკრება იყო? მსგავსი რამ გინახავს?" - გაოცებულნი და აღშფოთებულნი მეკითხებოდნენ მთავრობის სხდომიდან რედაქციაში მიბრუნებულს გაზეთის (პოლიტიკისგან და "საკანცელარიო" შეხვედრებისგან მათდა საბედნიეროდ შორს მყოფი) თანამშრომლები, რომლებმაც მთავრობის სხდომის რეპორტაჟი პირდაპირ ეთერში პირველად იხილეს. კარგა ხანია, მთავრობას პირდაპირ ეთერში, შეულამაზებლად, საკუთარი სხდომის გადაცემა არ გაურისკავს - ბოლო წლებში ჰყოფნიდა საამისო გონი.*

*თუმცა, რეალურად, გუშინდელი სხდომა არ ყოფილა ბევრით უარესი ან რაიმეთი უკეთესი ყველა დანარჩენზე, იმათზე, რომელიც წელიწადში, ძირითადად, ორჯერ იმართება და ხელისუფლების "თავმოწონებას" ემსახურება. ერთია მხოლოდ - ამჯერად, ჩანს, ხელისუფლებამ ქვეყნის აღმავლობის გზით სიარულის შესახებ მის მიერვე შექმნილი მითი თავადვე ირწმუნა, რის გამოც კიდევ უფრო სასაცილო სახით, თან პირდაპირ ეთერში, გამოჩნდა...*


გაგრძელება A2 გვერდზე




პრეზიდენტი სხვა განზომილებაშია.

## კრიმინალთა შემოტევამ პიკს მიაღწია

*ქართველი სამართალდამცველები "საქართველოს პრეზიდენტთან კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და გასული წლის სამართლებრივი ცხოვრების ანგარიში ჩააბარეს. ედუარდ შევარდნაძემ ტრადიციულ გაფართოებულ თათბირზე მოისმინა ის, რასაც აგერ უკვე 10 წელიწადია, ყოველწლიურად ისმენს.*

ინგა ალავიძე

გაფართოებული თათბირი შედგა და კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ: საქართველო კორუფციის ჭაობშია ჩაფლული, რომ კორუფციის სენმა ქვეყანა დაღუპა; რომ მაფია აკონტროლებს თითქმის ყველა ბიზნესს; რომ კანონიერი ქურდები მართავენ ქვეყანას; მიუხედავად იმისა, რომ კონტრაბანდის წინააღმდეგ 7 უწყება იბრძვის, კონტრაბანდულმა საქონელმა წალეკა საქართველოს ბაზარი; რომ საქართველოში ნარკომანია ყვავის; მავანი დესტაბილიზაციას გეგმავს; პანკისის ხეობაში სერიოზული შეცდომები დაუშვა ყოფილმა ხელისუფლებამ; იმატა ადამიანის გატაცების ფაქტებმა, მკვლელობამ, ქურდობამ, ძარცვა-ყაჩაღობამ. ერთი სიტყვით, კიდევ ერთხელ მოვისმინეთ, რომ ქვეყანაში კრიმინალური სიტუაცია უმძიმესია.


გაგრძელება A2 გვერდზე


## ეკონომიკა

### პატარკაციშვილი - მცხეთის მომავალი მამასახლისი?

არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ცნობილი ოლიგარქის მიზნებში საკუთარი პატარა ქალაქის აშენება შედის, სადაც ყველაფრის ბატონ-პატრონი თავად იქნება.


A3


## სპორტი

### დიდ ფულზე უარის თქმა ძნელია

*ევროპა, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე ეტაპს* დაემშვიდობოს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი 2005 წლის ივლისიდან თამბაქოს პროდუქციის აკრძალვას გეგმავს, ფორმულა 1 თამბაქოს ინდუსტრიის გიგანტებთან თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებს.


A5


## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 6 |
| ქუთაისი | 7 |
| ბათუმი | 7 |
| სოხუმი | 5 |
| ფოთი | 6 |
| თელავი | 4 |
| ზუგდიდი | 7 |
| გორი | 1 |
| ახმეტა | 3 |
| ჭიათურა | 3 |
| გაგრა | 4 |
| სამტრედია | 7 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1870 |
| ევრო | 2.3674 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5366 |
| რუბლი | 0.0691 |

## ანტისაომარი კოალიცია პოზიციებს იმაგრებს

შოთა უტიაშვილი

14 თებერვალს გაერო-ს ინსპექტორები, ბლიქსი და ელ-ბარადეი მორიგი მოხსენებით წარდგნენ უშიშროების საბჭოს წინაშე. ამ დღეს ვაშინგტონში და სხვა დედაქალაქებში მოუთმენლად ელოდნენ, რადგან გავრცელდა ხმები, რომ ბლიქსისა და ბარადეის უარყოფითი შეფასებების მოხსენების შემთხვევაში, ფაქტობრივად, მწვანე შუქს უნთებდნენ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებას. ამერიკელმა დიპლომატებმა მოამზადეს ახალი რეზოლუციის ტექსტი, რომელიც სამხედრო ძალის გამოყენების სანქციას იძლეოდა.

თუმცა, მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდა. ჰანს ბლიქსი, რომელიც ორი კვირის წინ ერაყის მიმართ თავის შეფასებებში საკმაოდ მკაცრი იყო, ამჯერად უფრო დაიმედებული ჩანდა. მან განაცხადა, რომ ერაყმა გადადგა ნაბიჯები ინსპექტორების დასახმარებლად. ბაღდადმა ნება დართო ერაყელ მეცნიერებს ერთი-ერთზე ესაუბრათ ინსპექტორებთან და აგრეთვე დაუშვა ერაყის ცაზე სადაზვერვო თვითმფრინავების ფრენა.


გაგრძელება A3 გვერდზე





REUTERS

ანტისაომარი გამოსვლა.

## ბერლინში ვნებათაღელვა დასრულდა

- ოქროს დათვი საუკეთესო ფილმისთვის - ბრიტანელი რეჟისორი, მაიკლ უინტერბოტომი **("ამ სამყაროში");**
- ჟიურის გრან პრი, ვერცხლის დათვი საუკეთესო ფილმისთვის - სპაიკ იონცი **("ადაპტაცია");**
- ვერცხლის დათვი საუკეთესო რეჟისურისთვის - პატრის შერო **("მისი ძმა");**
- ვერცხლის დათვი, საუკეთესო ქალი მსახიობი - მერილ სტრიპი, ნიკოლ კიდმანი და ჯულიანა მური - სტივენ დალდრის ფილმში **("საათები");**
- ვერცხლის დათვი, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - სემ როქუელი, ჯორჯ კლუნის ფილმში **("სახიფათო ტვინის აღსარება");**
- ვერცხლის დათვი, საუკეთესო მუსიკა - მაიოლი, სერჟ ფიორი და მამადუ დიაბატე **("მადამ ბრუეტი"** რეჟ. მუსა სენე აბსა);
- "ცისფერი ანგელოზი" საუკეთესო ევროპული ფილმისთვის - ვოლფგანგ ბეკერის **"მშვიდობით, ლენინ!"**
- ალფრედ ბაუერის პრიზი - ჩენ იმოუ **"გმირი".**



REUTERS

მუსა სენე აბსა და მაიკლ ვინტერბოტომი დაჯილდოებისას.

## ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

ხათუნა ცომაია
*ფოთიდან*

11 თებერვალს ფოთის პროკურატურაში ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის თემურ წურწუმიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის №388 2 და №391 მუხლებით საქმე აღიძრა. აღნიშნული მუხლები „მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობას" და „განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობას" შეეხება და სხვადასხვა სახის სანქციებს ითვალისწინებს, მათ შორის ჯარიმას, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას 150-დან 240 საათამდე, ტუსაღობას 6 თვემდე, ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე; აღსანიშნავია, რომ ამ მუხლებით ბრალეულობის დადგენისთანავე საკრებულოს თავმჯდომარეს 3 წლით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და თანამდებობრივი უფლებამოსილების შეჩერება ემუქრება.

წურწუმია ქუთაისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს და გასული წლის ივლისში ფოთის მთავრობის შემადგენლობაში დამტკიცებული და ერთ საათში, უკანონოდ მოწვეულ სხდომაზე ხელახალი კენჭისყრის შედეგად ჩაგდებული ვიცე-მერის ირაკლი მოწერელიას თანამდებობაზე აღდგენას ეურჩება.

თავდაპირველად, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის მიზეზად წურწუმიამ არაერთი საბაბი მოძებნა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს სპეციალური განმარტებაც გამოაგზავნინა გადაწყვეტილების შესრულების მექანიზმების შესახებ; მიუხედავად ზემოაღნიშნულისა და ფოთის აღმასრულებლის არაერთი შეგონებისა წურწუმია პრინციპულად და საჯაროდ (საკრებულოს სხდომაზე) აცხადებდა უარს კანონმორჩილებაზე.


გაგრძელება A2 გვერდზე



A2 პოლიტიკა | A3 ეკონომიკა | A3 უცხოეთი | A4 სამართალი | A4 საზოგადოება | A5 კულტურა | A6 სპორტი | A7 განცხადებები | A8 სხვადასხვა

## ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

### ელოდება თუ არა თეიმურაზ წურწუმიას „კოსტუმი ყველა სეზონისათვის“?

პირველი გვერდიდან

ამჟამად, უკვე გამწვავებული ურთიერთობების ფონზე, წურწუმია ირაკლი მოწერელიას კანდიდატურისადმი პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიციას აშკარად გამოხატავს, თუმცა პირად საუბრებში აცხადებს, რომ მოწერელიას საწინააღმდეგო კამპანიის გაჩაღება ქალაქის მერის დავით ქანთარიას ინიციატივაა.

ქანთარია ამ თემაზე საუბრისას უკიდურესად სიტყვაძუნწია და თავს იმით იმართლებს, რომ საკრებულოს მთავრობის წევრად დასამტკიცებლად მან მოწერელიას კანდიდატურაც წარუდგინა.

ფოთის სახელისუფლო კულუარებში კი აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ მოწერელიას წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, რომელიც ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მხიდან სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებით დაგვირგვინდა, ირაკლი მოწერელიას „სიძუნწემ“ გამოიწვია, - „მან მთავრობის წევრად დამტკიცებაში 5 ათასი დოლარის გადახდაც კი არ ინება“.

თავად მოწერელია, ამ თემის კომენტირებისას აცხადებს, რომ მას მართლაც გადმოსცეს თხოვნა, რომლის შინაარსიც ამგვარად ჟღერდა: „20 ათას დოლარს გადაიხდი და ყველაფერი მოგვარდებაო“. ყოფილი ვიცე-მერი თავს იკავებს იმის დასახელებისგან, ეს მოთხოვნა ქალაქის მერის მხრიდან მოდიოდა თუ საკრებულოს თავმჯდომარის.

არსებობს ინფორმაცია წურწუმიას კიდევ ერთი დარღვევის შესახებ, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება მან უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, ჩვენი ინფორმაციით, საკასაციო საჩივრის ავტორად ქ. ფოთის საკრებულოა წარმოდგენილი, რაც საკრებულოს სპეციალური დადგენილების გარეშე შეუძლებელი გახლდათ. თურმე ასეთი დადგენილებაც არსებობს (№48), რაც კიდევ ერთი დარღვევა იქნებოდა, ვინაიდან საკრებულოს მსგავსი საკითხისთვის კენჭი არ უყრია და, შესაბამისად, ვერც დადგენილებას გამოიტანდა.

ჩვენთვის უცნობია, დაისჯება თუ არა თემურ წურწუმია არჩევნების გადათვლის შედეგად აღმოჩენილი 1200 მოპარული ხმისათვის, ან ჯერაც დაუმტკიცებელი 2003 წლის ბიუჯეტიდან 29 ათას ლარიანი „მერსედესის“ „სლიოზი გერმანიის“ შეძენისათვის, მაგრამ როგორც ფოთის პროკურატურაში განგვიმარტეს, სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის დასაბუთების შემდეგ წურწუმიას სოლიდური ჯარიმა, შრომაგასწორებითი სასჯელი ან სულაც „კოსტუმი ყველა სეზონისათვის“ ელის.

## სააკაშვილი პროკურორმა დაკითხა

საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი გუშინ გენერალურ პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. ნუგზარ გაბრიჩიძის უწყება პრეზიდენტ შევარდნაძის მკაცრ დავალებას ასრულებს და ე.წ. სახელმწიფო გადატრიალების გეგმის თაობაზე დაკითხვებს აგრძელებს. როგორც გენერალური პროკურატურიდან გამოსული სააკაშვილი ამბობს, საიდუმლო შეთქმულებასთან დაკავშირებულ დეტალებზე მეტად პროკურორი მერიაში არსებულმა კორუფციამ დააინტერესა. როგორც სააკაშვილი ამბობს, გუშინ პროკურატურაში მას მისივე ენით ესაუბრებოდნენ და იმის გარკვევას ცდილობდნენ, ვინ იპარავს ფულს მერიაში. სააკაშვილმა პროკურორები დაარიგა: ამ კითხვით თბილისის მერს და თავად იმ ხალხს მიმართეთ, ვინც დედაქალაქის ბიუჯეტს ერჩისო.

რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალების თაობაზე მიცემულ ჩვენებას, სააკაშვილის თქმით, პროკურატურაში ახალი არაფერი უთქვამს, რადგან რაც ამ საქმეზე იცოდა, ყველაფერი უკვე მოუყვა პრესას.

საკრებულოს თავმჯდომარეს არ გამოპარვია, რომ **"პროკურატურა სახელმწიფო კანცელარიის დაკვეთას ასრულებს''** და ისიც შეამჩნია, რომ გაბრიჩიძის უწყებას მისი პიროვნება უფრო აინტერესებს, ვიდრე საქმის გამოძიება. **24 საათი**

## "არჩევნების გადადება სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასია"

ბოლო დროს პოლიტიკურ კულუარებში ვრცელდება ხმები, რომლის თანახმად, სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებს შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების გადადება სურთ. არაოფიციალური წყაროების ინფორმაციით, სახელისუფლებო პარტიები არჩევნების გაზაფხულისთვის გადადების ინიციატივით გამოდიან.

ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა იქნება. "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის ზურაბ ჟვანიას თქმით, მისთვის ამ იდეის შესახებ არაფერია ცნობილი, მაგრამ თუ ეს ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება, **"ეს სრული სიგიჟე იქნება".**

**"საქართველოს კონსტიტუციით, არჩევნების გადადება შეუძლებელია, რადგან კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ითხოვს არჩევნების ჩატარებას ყოველი ოთხი წლის თავზე. ამიტომ არჩევნების გადადების ნებისმიერი მცდელობა, პრაქტიკულად, არის კონსტიტუციური გადატრიალების, სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი",** – ამბობს ზურაბ ჟვანია. **24 საათი**

## მოკლედ

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსი სამშვიდობოებისათვის მანდატის ექვსი თვით გაგრძელებას საქართველოს პრეზიდენტი დასაშვებად მიიჩნევს. როგორც მთავრობის გუშინდელ გაფართოებულ სხდომაზე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, მას ასეთ გადაწყვეტილებას ამერიკიდან მიღებული წერილი კარნახობს.

**"ჯორჯ ბუშის სიტყვებია – ცოტა დაგვაცადეთ და ჩვენ აფხაზეთისთვისაც მოვიცლით",** - აღნიშნა პრეზიდენტმა, რომელიც რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელების თაობაზე აშშ-დან მიღებულ რეკომენდაციას **"ამერიკასთან პერსპექტიული თანამშრომლობის გამო ითვალისწინებს". ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერი ჯუმბერ პატიაშვილი დადებითად აფასებს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას და მის მიერ გაცხადებულ ბრალდებებს მთავრობის წევრთა მიმართ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი**. გუშინ აფხაზეთიდან დევნილებმა ზუგდიდში საპროტესტო აქცია გამართეს, რომელსაც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩასული ლტოლვილებიც ესწრებოდნენ. მომიტინგეებმა კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების დაუყოვნებელი გასვლა მოითხოვეს და ცეცხლი წაუკიდეს რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედროფორმიან ორი ფიტულს. **ინტერ-პრესი**




# კრიმინალთა შემოტევამ პიკს მიაღწია



"ძალოვნები" მთავრობის სხდომაზე.

პირველი გვერდიდან

**"რთული კრიმინალური ვითარებაა თბილისში, ბოლნისში, გარდაბანში, ზუგდიდში, ხაშურში, ქუთაისში, ზესტაფონში... საქართველოს 40-მდე რაიონში. ეს არ არის ჩვეულებრივი კრიმინალური სიტუაცია- ქილერთა, დამნაშავეთა უკან გარკვეული ძალები დგანან, ძალები, რომლებიც საზოგადოების დაშინებას ისახავენ მიზნად. არსებული სიტუაცია მშვიდად ყოფნის საშუალებას არ იძლევა,"** - განაცხადა გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

გენერალური პროკურორის ინფორმაციით, გასულ წელს საქართველოში 16 ათას 658 დანაშაული დაფიქსირდა. გაუხსნელია ბოლო წლებში მომხდარი 1 500 მკვლელობის საქმე. ადამიანის გატაცების 29 შემთხვევიდან, მხოლოდ 17 საქმეა ბოლომდე მიყვანილი. ჯერჯერობით კვლავ უცნობია წელიწადნახევრის წინ გატაცებული ლევან კალაძის, მამა ბასილის, 15 წლის მარიამ გოგინაშვილის ადგილსამყოფელი. დღემდე არ არიან დაკავებულნი ესპანელი ბიზნესმენების ანტონიო ტრემინიოსა და ფრანსისკო როდრიგესის, ასევე პიტერ შოუს, ქუთაისის ავტოქარხნის გენერალური დირექტორის ამირან ნაცვლიშვილის გამტაცებლები. გენერალური პროკურორის ინფორმაციით, გასულ წელს, მართალია, 10 ათასი საქმის გამოძიება დასრულდა, მაგრამ ძალიან ბევრი რეზონანსული საქმე, ისეთი, როგორიცაა კახი ასათიანის, დუდუ დადიანის, იოსებაშვილისა და სხვა მკვლელობები, გაუხსნელია. სამართალდამცველებისთვის, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი რამდენიმე დღის წინ გატაცებული 12 წლის გიორგი სარდანაშვილის ბედ-იღბლის შესახებაც.

გენერალური პროკურორისგან განსხვავებით, გახსნილი საქმეების სიმრავლითა და მსხვილი კრიმინალების დაპატიმრებით თავი მოიწონა შს მინისტრმა. მისი სტატისტიკური მონაცემებით, გახსნილია 14 ათასი დანაშაული. ლიკვიდირებულია 1 279 კრიმინალური დაჯგუფება, დაჭერილია 383 ბანდიტი, უცხოეთის ქვეყნებიდან ჩამოყვანილია და დაპატიმრებულია 2 817 ძებნილი. თუმცა, კობა ნარჩემაშვილი რეზონანსული საქმეების გაუხსნელობასაც აღიარებს, რასაც პოლიციის ფინანსური სიდუხჭირით ხსნის.

შს მინისტრის განცხადებით, გააქტიურდნენ კრიმინალური სამყაროს ლიდერები. **"ადამიანის გამტაცებელთა ერთ-ერთი ჯგუფის ლიდერი ნოე ბალავაძე, რომელიც სისასტიკით იყო სახელგანთქმული, დღეს საკნიდან მართავს სიტუაციას, გეგმავს ადამიანის გატაცებებს, მან დროის მცირე მონაკვეთში 20-ზე მეტი მობილური ტელეფონი გამოიცვალა. ასევეა ზვიად პაპოშვილი, რომელიც საპატიმროდან მანქანების გატაცებებს გეგმავს. კანონიერმა ქურდებმა მოსამართლეები ცემეს... კრიმინალთა შემოტევამ პიკს მიაღწია,"** – აცხადებს ქვეყნის პირველი პოლიციელი და პირობას დებს, რომ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას გააააქტიურებს.

**"მე ძალიან კარგად ვიცი, რომ კანონიერი ქურდი 2000 დოლარს უხდის პოლიციას, სხვანაირად მას რაიონში არავინ გააჩერებს,"** – ომბუდსმენი ნანა დევდარიანი პოლიციას კრიმინალებთან თანაშრომლობაში ადანაშაულებს და მუშაობის მეთოდებსაც უწუნებს. **"როცა კანონიერი ქურდი სამხედრო ტექნიკითა და სერიოზულად შეიარაღებული დაცვით, ოფიციალური სტრუქტურის წარმომადგენლებმა ერთ-ერთ რეგიონში ჩააცილეს, ხმა არავის ამოუღია. ამის შემდეგ მოსამართლის ცემის ფაქტზე ვინმე კობა ზვიადაძე დააპატიმრეს, ის ვერ ამოიცნო ვერც დაზარალებულმა და ვერც სხვა მოწმეებმა. ასე ვებრძვით კანონიერ ქურდებს? ბრძოლის ასეთ მეთოდებზე ისინი, ალბათ, სიცილით კვდებიან,"** – განაცხადა ნანა დევდარიანმა.

სიახლეებია უშიშროების სამინისტროში, სადაც ანტიტერორისტული საქმიანობის გააქტიურება ახლა აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით იგეგმება. უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურძანიას თქმით, იგეგმება ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ღონისძიებები, რათა **"აღიკვეთოს კრიმინალისა და ტერორიზმის ექსპორტირება არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან".**

უშიშროების მინისტრის ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორია კრიმინალურ ჯგუფებს გავლენის სფეროებად მკაცრად აქვთ დაყოფილი. აფხაზეთში მოქმედებს ოთხი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება.

დასავლეთ აფხაზეთის დაჯგუფება, რომელიც ნავთობისა და საკვები პროდუქტების გადაზიდვას აკონტროლებს და, ნაწილობრივ, რუსეთში ნარკოტიკების გატანასაც კურირებს.

გაგრის დაჯგუფება, რომელიც, ძირითადად, სომეხი ეროვნების პირებისგან შედგება და ხე-ტყის ბიზნესს აკონტროლებს;

გუდაუთის დაჯგუფება, რომელშიც აფხაზები არიან გაერთიანებულნი და ნარკობიზნესს აკონტროლებს.

ჩეჩნურ-აფხაზური დაჯგუფება, რომელიც მუსულმანი ვაჰაბიტებითაა დაკომპლექტებული და სატრანსპორტო მაგისტრალს აკონტროლებს.

**"რეგიონი სხვადასხვა ჯურის დამნაშავეთა თავშესაფრად და რადიკალ ისლამისტთა დასაყრდენ ცენტრად იქცა. ისინი რუსული პასპორტებით არიან შეიარაღებულნი,"** - განაცხადა ვალერი ხაბურძანიამ. მისი თქმით, რუსეთი საქართველოს ბრალს სდებდა და სდებს საერთაშორისო ტერორიზმის მფარველობაში, მაშინ როცა აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთი კრიმინალ-ვაჰაბიტებს, **"მათ შორის, არაბული ეთნოსის წარმომადგენლებს, ისევე როგორც აფხაზეთის დანარჩენ მოქალაქეებს, რუსულ პასპორტებს ურიგებს და ამით თავად ახდენს ტერორისტების საქმიანობის ლეგალიზაციას,"** – ამბობს ვალერი ხაბურძანია.

მისივე თქმით, მძიმე სიტუაციაა სამხრეთ ოსეთშიც, რომლის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი და უშიშროების მინისტრი იბრაჰიმ თედეევი კრიმინალურ დაჯგუფებებს მფარველობენ.

უშიშროების მინისტრი პანკისის ხეობის პრობლემას, ფაქტობრივად, მოგვარებულად თვლის, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, სიტუაცია კვლავ დაიძაბოს. **"დიდი უბედურება თავიდან აცილებულია, მაგრამ შესაძლოა, პანკისის პრობლემამ კვლავ შეგვახსენოს თავი, რადგან იქ არსებული ვითარება რუსეთში მიმდინარე პროცესებთან, რუსეთ-ჩეჩნეთის ომთანაა დაკავშირებული. ამჟამად ხეობაში, შესაძლოა, ისევ იმყოფებოდეს რამდენიმე ოდიოზური ფიგურა, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება,"** - განაცხადა მინისტრმა, რომელიც სხვა რეგიონებში ჩასატარებელი ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციების საიდუმლო გეგმას უშიშროების საბჭოს უახლოეს დღეებში წარუდგენს.

# აღარც სასაცილო და აღარც სატირალი

პირველი გვერდიდან

*სხვა მხრივ კი - ისევ ის შენობა, ისევ ის შესასვლელი, ისევ ის წითელი ხალიჩა, ისევ ის დარბაზი მეორე სართულზე, ისევ ისეთი (და უმეტესად იგივეც) სახეები, ისევ ისეთი ერთსულოვანი სამთავრობო განწყობა, ისევ ის შეურიგებლობა განსხვავებული აზრის მიმართ, ტაში, როცა საჭიროა და საჭირო არ არის, ისევ ის ცეკას პირველი მდივანი... უკაცრავად, ისევ ის პრეზიდენტი, ისევ ისეთი სხდომა, რომელიც მსგავსი სხდომების, თუ პარტიული აქტივების ტრადიციას არ ღალატობს. - ასეთი შთაბეჭდილებით ტოვებდა თქვენი მონამორჩილი ჟურნალისტი დარბაზს, სადაც გუშინ კიდევ ერთხელ ასწავლეს, რომ "ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია", ანუ "უნდა გააკეთო არჩევანი!"*

*და კიდევ - კიდევ ერთით გახლდათ გუშინდელი სხდომა გამორჩეული - ადრე მთავრობა ჯერ ფალსიფიკაციას ებრძოდა, მერე - კონტრაბანდას, მერე - კორუფციას, გუშინდელი "მიღწეულით კმაყოფილების" ფონზე, მთავარი სამიზნე კი ოპოზიცია გახლდათ. სხდომას აშკარად დასტრიალებდა პარასკევს სიტყვით გამოსული სააკაშვილის "სული", შესაბამისად, პოლიტიკური დაპირისპირების სუნი და მომავალი არჩევნების აჩრდილი.*

**"პოლიტიკურმა პარტიებმა და ცალკეულმა პირებმა უნდა დაიცვან კანონი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება ზომები,"** - დაიმუქრა გენერალური პროკურორი და აქვე "დაგვამშვიდა": **"ეს მუქარად არავინ აღიქვას..."**

შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომლის უპირველესი მოვალეობა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაა, ვერაფრით გაუძლო ცდუნებას, რომ სააკაშვილის სახელის ხსენებით არ დაეწყო ქვეყანაში შექმნილ კრიმინალურ სიტუაციაზე საუბარი და გვამცნო: **"სრულიად მოულოდნელ სახეს იღებს პოლიტიკური ბრძოლა, სხვას ვერაფერს დავარქმევ სააკაშილის გამოსვლას, როცა ცილისმწამებლური გადატანით ცდილობენ ხელისუფლების დისკრედიტაციას... ხშირად, კრიმინალების შესახებ საუბარი გვესმის იმ ადამიანებისგან, ვინც ერთმანეთს თავად მუშტებით უსწორდება..."** - განაცხადა და ნიშნისმოგებით გადახედა მოწვეულ დეპუტატთა ფრთას.

თავისდროინდელ "რეფორმატორთა" ხსენება შს მინისტრს ამით არ დაუსრულებია და ყველა ცოდვა, თბილისში კრიმინალური სიტუაციის გაუარესებით დაწყებული და ხელისუფლებაზე ზეწოლის მექანიზმების გამოყენებით დამთავრებული, ამ პოლიტიკოსებს და მათ მიერ დამტკიცებულ "ლიბერალურ კანონმდებლობას" აჰკიდა.

ვალერი ხაბურძანიამ პრობლემებს შორის აქეთ იარა, იქით იარა და, ის იყო, გვეგონა, რომ პოლიტიკურ თემებს გვერდი აუარა, განაცხადა: **"უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურები აქტიურად და ღიად მუშაობენ, დღეს არსებული კანონი ხელ-ფეხს გვიკრავს... უახლოეს პერიოდში ჩვენ შემოვალთ კანონით, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს..."**

ტრიბუნაზე გამოჩნდა ირაკლი ბათიაშვილი, რომელმაც ისაუბრა იმაზე, რომ **"ჩვენს ირგვლივ ბევრი აგენტია"** და **"კორუფციაზე საუბრის უფლება მხოლოდ მას აქვს, რადგან არ აქვს არც აგარაკი, არც მანქანა..."**

ბონდო ჯიქიას გუშინ ლექსი არ წაუკითხავს. სამაგიეროდ, თავისებური ინტერპრეტაცია მისცა სულხან-საბა ორბელიანის იგავს ცალთვალა მეფის შესახებ და განაცხადა, რომ მხატვარი **"სახელმწიფოებრივმა შეგნებამ აიძულა, არ დაეხატა მეფე ცალთვალა და არა - შიშმა".** რა თქმა უნდა, ავტორმა ასეთ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით პროტესტი ხმამაღლა გუშინდელ სხდომაზე ვერ გამოხატა, ამასობაში კი ბონდო ჯიქიამ დრო "იხელთა" და ახლა ციცერონს დაესესხა. **"როდემდე გინდა ისარგებლო ჩემი მოთმინებით?"** - ამბობს ციცერონი. **"ბოლომდე, ბატონო პრეზიდენტო, ბოლომდე!"**

სულხან მოლაშვილს კი აშკარად დაავიწყდა, რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარე ციფრებით უნდა მეტყველებდეს და არა პოლიტიკური განცხადებებით:

ციხე, რომელიც ააშენა თუ არ ააშენა სააკაშვილმა, მინიმალური ხელფასი (ანუ გაერთიანებული დემოკრატების იდეა), ძველი (ანუ ჟვანიასგუნდელი) ფინანსთა მინისტრების საქმიანობის შესწავლა, შეთქმულების საკითხის გარკვევა და ცილისმწამებლების დასჯა - აი ის თემები, რომლებზეც სამართალდამცველთა მუშაობის შემაჯამებელ სხდომაზე ქვეყნის ფინანსების მთავარმა მაკონტროლებელმა ისე ისაუბრა, არც გახსენებია, რომ ვის-ვის და, მსგავსი პოსტის მფლობელთა პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიებით ხელმძღვანელობის უფლება არა აქვს.

**"გააკეთეთ არჩევანი!"** - სულხან მოლაშვილი პირველი იყო, ვინც გუშინდელ სხდომაზე ასე არა მხოლოდ ხელისუფლების წევრებს, ანუ პოტენციურ შესამოწმებლებსაც მიმართა: **"გააკეთეთ არჩევანი.. და კონტროლის პალატა გვერდით დაგიდგებათ... როგორც ამას ითხოვს კანონი(?!)"**

ყველაზე ხმაურიანი, რა თქმა უნდა, ლევან მამალაძე გახლდათ. გუშინ მან საზოგადოების ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილა და "ჟვანია-სააკაშვილის გუნდთან" დაპირისპირების საიდუმლო გახსნა **"მე არ ჩავყევი მათ კორუფციის ჭაობში...",** ამ გუნდის კორუმპირებულობის მის მიერვე უკვე არაერთხელ დაფიქსირებული მაგალითები მოიყვანა და მანაც გვირჩია: **" ყველამ არჩევანი გააკეთოს. არ ვაპირებთ ამ ნავში ყოფნას. ნუ გგონიათ, რომ ვინც მათთან გარიგებაში არიან, პასუხი არ მოეთხოვებათ..."**

ერთადერთი, ვინც ამ სხდომაზე სააკაშვილის გუნდის აზრის დაცვა იკისრა, ვიცე-პრემიერი კახა შენგელია გახლდათ, რომელიც ჯერ გივი თარგამაძესთან დამარცხებულმა თემურ გოცაძემ გამოლანძღა, შემდეგ კი დარბაზმა სტვენა-ყვირილით გააჩუმა. შენგელიამ თავყრილობა გუშინ პროტესტის ნიშნად დატოვა.

ტრადიციულად სიტყვამახვილი, ოხუნჯი და პატრიოტიზმით აღტკინებული გახლდათ "მოქალაქე" რევაზ ამაშუკელი, რომელიც რატომღაც შეეცადა, ჯერ საკუთარ ტრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაში დაერწმუნებინა დარბაზი და როცა ეს საქმე მოგვარებულად ჩათვალა, მიშა ოსაძეს ინვალიდების საქმის, ციხის მშენებლობის და ცისკარიშვილის საკითხის შესწავლა მოსთხოვა. თან ოცნებაში წავიდა **"ეჰ, ჰუსეინი რომ იყოთ, სად შეძვრებოდნენ ეგენი, ვნახავდი..."**

მერე კი რეზო ამაშუკელმა, როგორც ნამდვილმა "მოქალაქემ" და პრეზიდენტის უერთგულესმა, საკუთარი, და არამხოლოდ, მორიგი ნატვრაც გაამჟღავნა: **"თუ ამ დემაგოგებს ერთხელ და სამუდამოდ არ მოვუსპეთ ჩვენ ჩვენსკენ თითის გამოშვერის საშუალება... თუ ესაა დემოკრატია, მე არ მინდა ასეთი დემოკრატია... მე არ შევწირავ ქვეყანას ასეთ დემოკრატიას..."**

საქართველოს პრეზიდენტმა შემაჯამებელ სიტყვაში ქართული კანონმდებლობის ლიბერალიზაციაზე შეაჩერა ყურადღება. **"არ ვართ ჩვენ საქართველოში ამისთვის მზად. საპროცესო კოდექსს და ბევრ სხვა კანონს სრულყოფა სჭირდება..."** - დაასკვნა საქართველოს პრეზიდენტმა ათწლიანი მმართველობის თავზე, მას შემდეგ, რაც ისაუბრა არჩეულ სწორ გზაზე, პირველ ევროპელობაზე, იზოტოპების ინსტიტუტზე, ალბანური დამწერლობის გაშიფვრაზე, კულტურის აღმავლობაზე, იმაზე, რომ თეატრებს შენობები აღარ ჰყოფნით და სარდაფებში ჩადიან, კახეთის აყვავებაზე, იმაზე, რომ ვერტმფრენით გადაფრენისას გაპარტახებული ჩაის ბუჩქები დაინახა, ქურდებზე, რომლებიც გაპარპაშდნენ და ბასილ მკალავიშვილზე, რომელსაც უფრო ხშირად ახსენებენ ამერიკის სენატში, ვიდრე ედუარდ შევარდნაძეს (ამას კი აღარ აპატიებს მას საქართველოს პრეზიდენტი)...

უყურადღებოდ არ დატოვა სააკაშვილი: **"წადიო, მიშამ და შენი გარემოცვა გამოგყვებაო... კი, მაგრამ ჰკითხეთ, ერთი მიშას, პრეზიდენტად რომ აგირჩიონ, მზად ხარ?.."** საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი გუშინ პასუხს არ დალოდებია.

"მოქალაქეებს" დაემუქრა, რომ ახლა საარჩევნო ხმებისთვის რაიონ-რაიონ ფეხით არ ჩამოირბენს, ჯორბენაძეს სტრუქტურის აწყობა ურჩია და ისიც გაიხსენა, რომ **"რჩეულიშვილიც გამზადებულია..."**

საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური ოპოზიცია გამოსვლის დასასრულს ერთხელ მაინც ახსენა - **"ოპოზიცია ოპოზიციაა... დაე, გაიხარონ!.. გამარჯვებით კი გაიმარჯვებს ის, ვინც უნდა გაიმარჯვოს!"** ნუთუ, დამსწრე საზოგადოება ჰყავდა მხედველობაში?!

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

ეკონომიკა

# არასამთავრობოები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობის საწინააღმდეგო აქციებს გეგმავენ

სოფო კვინტრაძე

"ვაკის გონივრული განვითარების" ოფისში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეკრების მიზანი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხების განხილვა გახლდათ. არასამთავრობოები უახლოეს დღეებში გააქტიურებასა და საპროტესტო აქციების მოწყობას გეგმავენ, რათა მილსადენის ბორჯომზე გავლა აღკვეთონ და, ამასთანავე, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრონ.

ორი დღის წინ, არასამთავრობოები მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს შეხვდნენ. როგორც "მწვანე ალტერნატივის" ერთ-ერთი წევრი მანანა ქოჩლაძე აცხადებს, შეხვედრა წარუმატებელი გამოდგა, რადგან შეხვედრის მონაწილეები არასწორად იყვნენ შერჩეული. მანანა ქოჩლაძის განცხადებით,



არასამთავრობოები საპროტესტო აქციების მოწყობას გეგმავენ.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლები, რომლებიც მილსადენის გაყვანას არ ეწინააღმდეგებიან, არაკომპეტენტურები არიან იმ რისკებთან დაკავშირებით, რაც ნავთობსადენის ბორჯომში გავლას შეიძლება მოჰყვეს.

მანანა ქოჩლაძის ინფორმაციით, მსოფლიო ბანკს და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკს ჯერ გადაწყვეტილი არა აქვთ, დააფინანსებენ თუ არა მილსადენის მშენებლობას. **"შესაძლებლობები არის ორმოცდაათი ორმოცდაათზე, ისინი საბოლოო გადაწყვეტილებას სამ თვეში მიიღებენ,"** – აცხადებს მანანა ქოჩლაძე. მას შემდეგ, რაც ამ საფინანსო ორგანიზაციების გადაწყვეტილება გახდება ცნობილი, 120 დღის განმავლობაში მოეწყობა პროექტის საზოგადოებრივი განხილვები. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ ისინი მილსადენის გაყვანის წინააღმდეგ არ გამოდიან, **"უბრალოდ, ჩვენ გვინდა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ქართველი ხალხისათვის სარგებლის მომტანი პროექტი იყოს და არა ზიანის,"** – აცხადებს ლეილა გაფრინდაშვილი "ვაკის გონივრული განვითარებიდან".

# პატარკაციშვილი - მცხეთის მომავალი მამასახლისი?

სოფო კვინტრაძე

სააქციო საზოგადოება "ენისელის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გუჯა ბუბუტეიშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე ქალაქ მცხეთის აღორძინების იდეით წარდგა. როგორც ბუბუტეიშვილი აცხადებს, მას გული შესტკივა ისტორიული ქალაქის ნამდვილი იერსახის დაკარგვის გამო. მისი თქმით, მცხეთაში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლები დანგრევის პირას არიან მისული. გარდა ამისა, ქალაქში, უშუალოდ ტაძრების სიახლოვეს უამრავი რესტორანი და კაზინოა გახსნილი, რაც კონიაკის მწარმოებელს დაუშვებლად მიაჩნია. ამიტომ იგი საზოგადოებას მოუწოდებს, ჩამოაყალიბოს მუშა ჯგუფი ისტორიკოსების, არქიტექტორების, გეოლოგების და სხვა სპეციალისტების შემადგენლობით, რათა მათ შეადგინონ მცხეთის განაშენიანების გენერალური გეგმა. გეგმის მიზანი ქალაქისათვის პირვანდელი იერსახის დაბრუნება იქნება. ბუბუტეიშვილი აცხადებს, რომ იგი მთლიანად დააფინანსებს ამ ჯგუფის მუშაობას, რაშიც მისი მეგობარი ბადრი პატარკაციშვილი დაეხმარება. **"ბადრი პატარკაციშვილი იქნება მცხეთის მამასახლისი, მოგცემთ იმდენ ფულს, რამდენიც საჭიროა, თქვენ ოღონდ გენგეგმაზე იმუშავეთ,"** – მიმართა ბუბუტეიშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციებს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ნაწილი ბუბუტეიშვილის ინიციატივას სკეპტიკურად შეხვდა. გუშინდელ შეხვედრაზე მათ ვერ მიიღეს პასუხი კითხვაზე, **"რა საჭიროა მცხეთაში პატარკაციშვილის მამასახლისობა?"** არასამთავრობოებს მიაჩნიათ, რომ ცნობილი ოლიგარქის მიზნებში საკუთარი პატარა ქალაქის აშენება შედის, სადაც ყველაფრის ბატონ-პატრონი თავად იქნება.

# "ახლა ბრძოლა მხოლოდ თავის გადარჩენისათვის მიდის"

*ქვეყნის ხელისუფლება სამამულო პროდუქციის დაცვაზე უნდა ზრუნავდეს - ასეთია ყველა ნორმალური სახელმწიფოს მარტივი და ეფექტური რეცეპტი ეკონომიკური ძლიერებისა და მდგრადი განვითარებისათვის. რა პერსპექტივა აქვს ქართულ მეწარმეობას?*

ნინო ნარჩემაშვილი

**"იმ პირობებში, როგორშიც დღეს ქართული წარმოება იმყოფება, შეუძლებელია იფიქრო პერსპექტივაზე. ახლა ბრძოლა მხოლოდ თავის გადარჩენისათვის მიდის,"** - ამბობს შპს "უშბას" კომერციული დირექტორი ილია სიჭინავა.

შპს "უშბა", რომელიც ყველასათვის ნაცნობი ალკოჰოლური სასმელების ფართო ასორტიმენტს აწარმოებს, 1991 წელს შეიქმნა. 1996 წელს საწარმოში ამერიკული ინვესტიცია განხორციელდა. ამჟამად, საინვესტიციო ვადის გასვლის შემდეგ, კომპანია "უშბა" საკუთარი ძალებით ცდილობს ადგილის დამკვიდრებას. წარმოების ქსელში 500-მდე ადამიანია დასაქმებული და მათი საშუალო ხელფასი 200 ლარს აღწევს. სახელმწიფო ბიუჯეტს კი "უშბა" ყოველწლიურად სამი მილიონ ლარსურიცხავს.

კომპანიის კომერციული დირექტორის თქმით, არ შეიძლება საკუთარ პროდუქციას ქვეყანა ასეთ კაბალურ პირობებს უქმნიდეს და შიდა ბაზარს არ იცავდეს. **"ჩვენთან ბოთლი არაყი ერთ ლარადაც კი იყიდება. ეს ხომ არ შეიძლება მისი რეალური ღირებულება იყოს. ე.ი. ასეთი პროდუქცია ან ფალსიფიცირებულია და ადამიანის სიცოცხლისათვის საშიში, ანდა კონტრაბანდული,"** - ილია სიჭინავას თქმით, შპს "უშბას" პროდუქცია საქართველოს ფარგლებს გარეთ რამდენიმე წლის განმავლობაში გადიოდა. ბევრმა ქვეყანამ უცხოეთიდან იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრის სისტემა სამამულო პროდუქციის სასარგებლოდ შეცვალა და ამით თავისი შიდა ბაზარი დაიცვა. საქართველო, სამწუხაროდ, ამაზე არ ზრუნავს. გადასახადების მოქმედი რეჟიმი "უშბასთვის" წამგებიანი გახდა და პროდუქციის ექსპორტი შეჩერდა. თუმცა კომპანია ახალ კავშირებს ეძებს. ილია სიჭინავა აღნიშნავს, რომ "უშბას" წარმოება უახლესი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი და პროდუქციის ნებისმიერი რაოდენობა შეუძლია აწარმოოს, მაგრამ მთავარია მისი რეალიზაცია. საქართველოში კი არც ექსპორტისათვის და არც შიდა ბაზარზე მუშაობისათვის ხელშემწყობი საკანონმდებლო პირობები არ არსებობს. მისივე თქმით, დღეისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსის ბევრი მუხლი პირდაპირ მეწარმეთა საწინააღმდეგოდ არის შედგენილი. სააქციზო გადასახადების სისტემა კი რთულია და მეწარმეთა სასარგებლოდ არ მუშაობს. ამას ემატება ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს ნორმალური, ჯანსაღი კონკურენცია. ერთადერთი და რეალურად არსებული, ფასების კონკურენცია გახლავთ. ამიტომ ქართული ბაზარი ფალსიფიცირებულმა პროდუქციამ წალეკა.

"უშბას" კომერციული დირექტორი აცხადებს, რომ წარმოების ხელმძღვანელობას შემუშავებული აქვს რენტაბელური ფუნქციონირების სამომავლო პროგრამა, მაგრამ მხოლოდ სურვილებით არაფერი იცვლება. დღეისათვის კი კომპანიის ხელმძღვანელობა იძულებულია, "უშბას" სამარკო ნიშნით წარმოებული პროდუქციის ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომ იგი მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანია, არა ხარისხის, არამედ ქვეყნის შიდა ბაზარზე არსებული ფასების მიხედვით განსაზღვროს.

მართალია, 2003 წელს შპს "უშბას", დარგში ყველაზე წარმატებული მუშაობისთვის, საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური ჯილდო გადასცა, მაგრამ რა სარგებელს მოუტანს ეს ჯილდო კომპანიას? **"უკეთესი ჯილდო, ქართულ კანონმდებლობაში კერძო მეწარმეებისა თუ ბიზნესმენებისათვის სასიკეთო ცვლილებების დაკანონება იქნებოდა,"** - აცხადებს ილია სიჭინავა და იმედს გამოთქვამს, რომ ახალი არჩევნების შემდეგ მაინც მოექცევა კანონმდებელთა ყურადღების სფეროში სამამულო წარმოება.

უცხოეთი

# ანტისაომარი კოალიცია პოზიციებს იმაგრებს

პირველი გვერდიდან

თუმცა, ბლიქსმა ისაუბრა იმაზეც, რომ ერაყის ხელისუფლებას ჯერაც არ უთქვამს გაერო-სთვის, რა ბედი ეწია 30 ათასამდე რაკეტას, აგრეთვე მომწამვლელ გაზსა და ანთრაქსის გამომწვევი ბაქტერიის შემცველ იარაღს. ბლიქსმა განაცხადა, რომ მან ჯერ ვერ მიაგნო აკრძალული იარაღის კვალს.

ბლიქსის მოხსენება მშვიდობის მომხრეებმა თავიანთ გამარჯვებად შეაფასეს.

რაც შეეხება ელ-ბარადეის, რომელიც ბირთვული პროგრამის ინსპექტირებას ახორციელებს, აცხადებს, რომ საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად კიდევ ექვსი თვე სჭირდება. ისიც იმეორებს, რომ ჯერ-ჯერობით საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა.

ინსპექტორების გამოსვლის შემდეგ უშიშროების საბჭოში სამსაათიანი დებატები გაიმართა, რომელიც ასევე ომის მოწინააღმდეგეთა გამარჯვებით დასრულდა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს დე ვილპენს და რუსეთის დიპლომატიური უწყების შეფს ივანოვს გამოსვლა რამდენჯერმე ტაშით შეაწყვეტინეს, რაც უშიშროების საბჭოში წესით აკრძალულია.

კოლინ პაუელს კი აშკარად მისდამი არაკეთილგანწყობილ გარემოში მოუწია გამოსვლა. მისი მდგომარეობა განსაკუთრებით იმან გაართულა, რომ ჰანს ბლიქსმა საჯაროდ დააყენა ეჭვქვეშ სახელმწიფო მდივნის მიერ რამდენიმე დღის წინ წარმოდგენილი მტკიცებულებები ერაყის მიერ ინსპექტორთა მოტყუების მცდელობის შესახებ.

დე ვილპენმა, რომელიც შეურაცხყოფილი დარჩა იმით, რომ რამსფელდმა მის ქვეყანას "ძველი ევროპა" უწოდა, თავისი მოხსენება იმით დაიწყო, რომ ყველას შეახსენა იგი უძველესი ქვეყნიდან არის, რომელმაც თავისთავზე გამოსცადა "ომი, ოკუპაცია და ბარბაროსობა" და ახლა ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ ომის დაწყება მარცხის აღიარე-



ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ბელორუსში.

REUTERS

ბას ნიშნავს. იგი აცხადებს, რომ ინსპექტორებისგან სულ უფრო დამაიმედებელი ინფორმაციები მოდის, ამიტომ ინსპექტირების გაგრძელება აუცილებელია. "მივცეთ შანსი მშვიდობას" – ასეთი იყო ფრანგების დევიზი.

საფრანგეთი მოითხოვს, რომ ინსპექტორები შემდეგი მოხსენებით 14 მარტს წარდგნენ. თუ ეს განხორციელდა, მაშინ ეს უკვე მესამე მოხსენება იქნება. როგორც ჩანს, არც 14 მარტის მოხსენება იქნება უკანასკნელი. ამასობაში კი ერაყში კლიმატური პირობები ომისათვის ძალზე არახელსაყრელი იქნება.

ტრადიციულად, ინსპექტირების გაგრძელების და ინსპექტორთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნით გამოვიდნენ რუსეთი და ჩინეთიც.

ამ მოთხოვნის საპასუხოდ, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტრომ სტრატეგიულ კვლევათა საერთაშორისო ინსტიტუტში გამოსვლისას განაცხადა, რომ ერაყს განიარაღება რომ უნდოდეს, ამისათვის ინპექტორთა არსებული რაოდენობაც საკმარისია, ხოლო თუ არ უნდა, მაშინ მათი რაოდენობის ათმაგი გაზრდაც არ უშველისო

"ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, თეთრი სახლის განსაკუთრებული იმედგაცრუება იმ ქვეყნების პოზიციამ გამოიწვია, რომელთა მხარდაჭერის იმედიც ჰქონდა. ესენია: ჩილე, გვინეა და ანგოლა. ამჟამად უშიშროების საბჭოს 15 წევრიდან ამერიკის მხარეს არიან მხოლოდ ბრიტანეთი, ესპანეთი და ბულგარეთი, დანარჩენი 11 სახელმწიფო ინსპექტორთა მუშაობის გაგრძელებას უჭერს მხარს. უშიშროების საბჭოს რეზოლუციას ცხრა ხმა სჭირდება, და არც ერთი ვეტო მუდმივი წევრებისაგან.

გუშინ ომის მოწინააღმდეგეებმა დამატებითი სტიმული მიიღეს. მსოფლიოს 60-მდე ქვეყანაში გაიმართა სამშვიდობო დემონსტრაციები, რომლებზეც 10 მილიონ კაცს ელოდნენ.

ექსპერტების ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ომისადმი თითქმის საყოველთაო ოპოზიციამ შეიძლება აიძულოს ბუში, საომარი მოქმედებები რამდენიმე ხნით გადადოს.

ერაყის საკითხი მოკავშირეებს შორის სერიოზული განხეთქილების საბაბად იქცა. ამერიკელი კონგრესმენები საფრანგეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებას მოითხოვენ.

გავლენიანმა სენატორმა მაკკეინმა ვაშინგტონში, სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში გამოსვლისას, მკაცრად გააკრიტიკა საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი: "საფრანგეთი დიდი ხანია უსირცხვილოდ ცდილობს ერაყის წინააღმდეგ სანქციებისათვის ძირის გამოთხრას და საკუთარ კომერციულ ინტერესებს საერთაშორისო სამართალზე მაღლა აყენებს. საფრანგეთმა შეწყვიტა "არასაფრენი ზონების" პატრულირების მხარდაჭერა, არ მიიღო მონაწილეობა ოპერაცია "უდაბნოს მელას" განხორციელებაში, თავის დროზე მხარი დაუჭირა ინსპექტირების რეჟიმის შესუსტებას, იმიტომ რომ სხვანაირად ერაყის მთავრობისაგან ხელსაყრელ კონტრაქტებს ვერ მიიღებდა. საფრანგეთი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც გვერდი აუარა ერაყში კომერციული ავიარეისების აკრძალვას... პრეზიდენტი შირაკი, რომელმაც ხელი მოაწერა ერაყისათვის ბირთვული რეაქტორების მიყიდვას, მაშინ, როდესაც იცოდა, რაში უნდა დასჭირვებოდა ნავთობით უმდიდრეს ქვეყანას აესი, დღეს ამბობს, რომ არ არსებობს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის უტყუარი მტკიცებულებები."

"საფრანგეთის მსგავსად არც რუსეთმა მიიღო მონაწილეობა "უდაბნოს მელაში", და პირველმა დაარღვია ემბარგო ავიარეისებზე. რუსეთმა მიყიდა ერაყს გიროსკოპები სარაკეტო პროგრამებისათვის... რუსეთი დღეს ისევე ცდილობს ერაყის გადარჩენას, როგორც 1991 წელს ცდილობდა ამის გაკეთებას პრიმაკოვის ხელით."

"გერმანიის დღევანდელი მოქმედება მცირედ თუ წააგავს მოკავშირის ქმედებებს. განა დღეს შრიოდერი წააგავს იმ პოლიტიკოსებს, რომლებმაც შეძლეს ამერიკასთან ერთად საბჭოთა საფრთხის შეკავება?"

# "ფრანს ტელეკომი" თანამშრომლებს "ფერთხავს"

თორნიკე შარაშენიძე

ვალებში ჩავარდნილი "ფრანს ტელეკომი" წელს 7500 თანამშრომლის დათხოვნას აპირებს. ეს, ალბათ, შემცირებების პირველი ტალღა იქნება კავშირგაბმულობის გიგანტში, რომლის დავალიანებაც 70 მილიარდ ევროს აღწევს. ეს ვალები კომპანიამ 90-იან წლებში დააგროვა, როცა რამდენიმე მსხვილი შენაძენი გააკეთა. ახლანდელი შემცირებები, ძირითადად, საფრანგეთში დასაქმებულ მოსამსახურეებს შეეხება.

სპეციალისტთა თქმით, ამ ეტაპზე შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, კავშირგაბმულობის გიგანტს 13 ათასი თანამშრომლის დათხოვნა მაინც მოუხდება. თუმცა, ამაზე ბევრად მეტის შემცირება, ალბათ, არც მოხერხდება, რადგან "ფრანს ტელეკომის" უდიდეს წილს სახელმწიფო აკონტროლებს და აქედან გამომდინარე, მის თანამშრომელთა უმრავლესობას საჯარო სამსახურის შესახებ კანონი იცავს.

პროფკავშირები, ცხადია, გულგრილად არ შეხვდნენ ამ ამბავს, მაგრამ, როცა საუბარი საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის ყოფნა-არყოფნას ეხება, ამას ალბათ აღარავინ დაეძებს. მართალია, როცა რამდენიმე თვის წინ პირველად დაიწყო საუბარი კომპანიიდან შესაძლო დათხოვნებზე, მთელ ქვეყანას საპროტესტო გამოსვლებმა გადაუარა, მაგრამ ახლა მსგავსი აღარაფერი მომხდარა. ჩანს, პროფკავშირებთან გარიგება მიღწეულ იქნა და მღელვარება აღარ განმეორებულა.

"ფრანს ტელეკომის" ახალმა მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა, ტიერი ბრეტონმა განაცხადა, რომ იგი აქციონერებს სასიამოვნო სიურპრიზს უმზადებს. კერძოდ, საუბარია გასული წლის ბოლო კვარტალში კომპანიის მაჩვენებლებზე, რომელიც მარტის დასაწყისში უნდა გამოქვეყნდეს. ჩანს, კავშირგაბმულობის გიგანტს აღმავლობის ხანა დაუდგა. ბევრი ამას სწორედ ბრეტონს უკავშირებს, რომელიც ოთხი თვის წინ მივიდა კომპანიაში და მაშინვე გაახერხა ცხრა მილიარდი ევროს სესხი მთავრობისაგან. ეს სესხი მიღებულ იქნა კომპანია "ერაპისგან," რომელიც ფორმალურად სახელმწიფოს არ ეკუთვნის (ევროკავშირის წესდება მსგავს შემთხვევებში სუბსიდიებს კრძალავს), მაგრამ სინამდვილეში მის კონტროლს ექვემდებარება. ცხადია, ეს ამბავი ევროკომისიაშიც კარგად იციან და იქ უკვე გამოძიებაც დაიწყეს ამ საკითხის გარშემო, მაგრამ, ჯერჯერობით, სანამ გადაწყვეტილება მიღებული არაა, "ფრანს ტელეკომი" სესხით სარგებლობს. გარდა ამისა, ბრეტონი სხვადასხვა ფინანსური ოპერაციებიდან კიდევ 15 მილიარდის ამოღებას გეგმავს.

თანამშრომელთა დათხოვნის გარდა, ბრეტონმა კიდევ ერთი სიახლე ამცნო საქმიან სამყაროს. კომპანიის ბრიტანულ შტოს, მობილურ ოპერატორ "ორენჯს" (ეს ფირმა "ფრანს ტელეკომმა" 2000 წელს ჩაიგდო ხელთ "ვოდაფოუნისაგან") ახალი თავკაცი ეყოლება. ეს არის 51 წლის სოლ ტრუჯილო, ამერიკის კავშირგაბმულობის ბაზარზე ჭიპმოჭრილი მენეჯერი. მან ჟან-ფრანსუა პონტალი შეცვალა, რომელიც ფორმალურად მარტის დასაწყისში გადადგება. ტრუჯილოს ნოვატორის რეპუტაცია აქვს. "იუეს ვესტის" თავკაცად მუშაობისას მან მაღალი სიჩქარის ინტერნეტ სერვისი დანერგა, რაც ერთობ ახალი ხილი იყო იმ დროს ამერიკაში. ბრეტონის თქმით, "ორენჯსა" და "ფრანს ტელეკომს" ახლა სწორედ ასეთი კაცი სჭირდება.

## მოკლედ

**თბილისი.** "ჩვენ მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ რისკი პროექტთან დაკავშირებით და გავზარდოთ მაქსიმუმამდე მოსახლეობისათვის ნავთობსადენის მშენებლობით მიღებული მოგება`` - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრისას საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის ნავთობისა და გაზის დეპარტამენტის დირექტორმა რაშად კალდანმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ბიზნეს-ჯგუფის ხელმძღვანელმა პიტერ რეინეგერმა განაცხადეს. საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლობითი დელეგაცია საქართველოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ირგვლივ შექმნილი ვითარების გაცნობის მიზნით ეწვია. ვიზიტისას მათ შეისწავლეს პროექტის განხორციელების და მისი მშენებლობის დაფინანსების საკითხები. ვიზიტის შედეგებს სტუმრები საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციის დირექტორატთა საბჭოს წარუდგენენ. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

**თბილისი.** აგვისტოში ხადორჰესზე 12 მეგავატის სიმძლავრის პირველი აგრეგატი შევა ექსპლუატაციაში. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ განაცხადა, წლის ბოლომდე ჰესი მთლიანად ამოქმედდება. ახმეტის რაიონში (პანკისის ხეობაში) 24 მეგავატის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ჩინეთის სიჩუანის მხარის ინვესტიციიებითა და უშუალო ძალისხმევით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის პროცესში ხადორჰესსზე არაერთი დივერსიული აქტი განხორციელდა, მშენებლობა არ შეწყვეტილა. დავით მირცხულავას თქმით, ხადორჰესი, თავისი სიმძლავრით სრულად დააკმაყოფილებს ახმეტის რაიონს და ხელს წააშველებს მომიჯნავე რაიონებსაც. "იმ შემთხვევაში კი, თუ მოხდება საგადასახადო რეჟიმის გამარტივება უცხოელი ინვესტორებისათვის და ისინი გათავისუფლდებიან გადასახადებისაგან, საქართველოში უცხო კაპიტალის დასაბანდებლად უფრო მეტი მსურველი გამოჩნდება" - განაცხადა მირცხულავამ. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

**თბილისი.** ერთი კვირის ვადაში ნინოწმინდის რაიონში ახალი გაზსაცავის მშენებლობის დაწყებისათვის საჭირო პროექტი იქნება მზად. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას განცხადებით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც გაზის არანაირი რეზერვი არ გააჩნია იმ პირობებში, როცა რაიმე ტექნიკური ან პოლიტიკური კრიზისი დგება. "აღნიშნული პროექტის გასახორციელებლად საჭიროა 166-170 მილიონი დოლარი და ამჟამად მიმდინარეობს ინვესტორის მოძიება" - აღნიშნა მინისტრმა. ***კავკას-პრესი.***

■ ■ ■

***თბილისი.*** თბილისის მთავრობა დედაქალაქის საკრებულოს მოუწოდებს 2003 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი შეამციროს. საკრებულოს ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ ამ საკითხის კომენტირებისას განაცხადა, რომ ისინი 2003 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტს საერთოდ არ იცნობენ, რადგან მთავრობას ჯერ არ შემოუტანია საკრებულოში განსახილველად.***ინტერ-პრესი"***



# ოცდაათი დღე ოცდაათი ქალისთვის

### როგორ გავხდეთ ბიზნეს-ვუმენი ერთ თვეში?

ეთერ მამულაშვილი

*თუკი საქმიანი ქალის იმიჯის შექმნის გარდა, მცირე, საშუალო ანდა სულაც მსხვილი ბიზნესის წამოწყებაზე გაქვთ პრეტენზია, მაგრამ ამის მისაღწევად ფულთან ერთად სათანადო ცოდნაც არ გყოფნით, მაშინ ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტმა, რომ იტყვიან სულზე მოგისწროთ. ივნისიდან ერთთვიანი სპეციალური ტრეინინგ-კურსი იმ ოცდაათ ქალს ჩაუტარდება, რომელთა მონაცემებს პროექტის ხელმძღვანელი და ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ჯუდი ქვიქი შეარჩევს.*

"ქალებში ლიდერობის განვითარება", ასე ჰქვია იმ პროექტს, რომელსაც ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური დახმარებით კავკასიის ბიზნესსკოლა განახორციელებს. პროექტი მიზნად ისახავს იმ ქალებისთვის შესაბამისი განათლების მიცემას, რომლებსაც საკუთარი ბიზნესის წამოწყების სურვილი აქვთ.

მარკეტინგში, მენეჯმენტსა და ფინანსურ საფუძვლებში, ოცდაათდღიან კურსს, კონკურსის წესით, წინასწარ შერჩეული ოცდაათი ქალი მოისმენს. კონკურსის მკაცრი პირობების გავლის შემდეგ, ინტენსიური ტრეინინგები ივნისის პირველივე რიცხვებიდან დაიწყება. ოცდაათი კონკურსანტის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი მონაწილის გამოცდილება და ინტელექტუალური შესაძლებლობები იქნება.

ლექციების პარალელურად, კონკურსში გამარჯვებული ქალები საკუთარ ბიზნეს-გეგმაზეც იმუშავებენ, რომელთა დახვეწასა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებაში, ქალებს შესაბამისი დარგის სპეციალისტები დაეხმარებიან.

თვის ბოლოს ჯუდი ქვიქი სამ საუკეთესო ბიზნეს-გეგმას შეარჩევს, რომელთა ავტორები დამატებით ერთთვიან ტრეინინგს უფასოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ატლანტაში გაივლიან.

როგორც პროექტის ქართველმა კორდინატორმა გოგი თურქიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, იმ ქალებს, რომლებიც საინტერესო ბიზნეს-გეგმას წარმოადგენენ, **"დავეხმარებით საკუთარი ბიზნეს-გეგმის განსახორციელებლად საჭირო საბანკო სესხის აღებაშიც".**

გოგი თურქიას თქმით, ამ პროექტის პრიორიტეტი რეგიონში მცხოვრები ქალები იქნებიან. მათთვის განსაკუთრებული პრივილეგიები და შეღავათები არის დაწესებული. გამარჯვებული ოცდაათი კონკურსანტიდან, ოცი სწორედ რეგიონებიდან გამოვლინდება.

ამ დღეებში კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური ანკეტები საქართველოში მოქმედ ყველა ქალთა ორგანიზაციას დაურიგდება. დაინტერესებული ქალები იგივე ანკეტების შევსებას მაისამდე კავკასიის ბიზნეს სკოლის ოფისშიც შეძლებენ.

## ინფორმაცია

### გუშინ მირქმის დღესასწაული აღინიშნა

მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გუშინ აღნიშნა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საუფლო დღესასწაული - მირქმა-მიგებება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამღვდელოებასთან ერთად, წირვა-ლოცვა აღავლინა. **ინტერ-პრესი**

### ვეტერანები ერთმანეთს არ ივიწყებენ

საქართველოს ავღანეთის ვეტერანთა კავშირის წევრებმა გუშინ ავღანეთის ომის დამთავრების მე-14 წლისთავი აღნიშნეს. ვეტერანთა კავშირის ხელმძღვანელობამ თბილისში მცხოვრები ყოფილი მებრძოლების ოჯახებს ერთჯერადი დახმარების სახით, 100-100 ლარი გადასცა. კავშირის თავმჯდომარის ნუგზარ კახნიაურის განცხადებით, უახლოეს ხანებში ავღანეთის ომის მონაწილეთა ოჯახებს დახმარებას სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც ჰპირდება.

ქართველმა ავღანელებმა გუშინ დილიდანვე ავღანეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი გვირგვინებით შეამკეს, დიღომში ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულ, ავღანეთისა და აფხაზეთის ომებში დაღუპულთა საფლავებს მიაგეს პატივი, ნაშუადღევს კი, ორგანიზაციის შტაბ-ბინაში შეიკრიბებნენ, სადაც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც იყო მიწვეული.

კახნიაურის თქმით, ანალოგიური ღონისძიებები საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება.

საქართველოდან ავღანეთში 8 ათასი ჯარისკაცი იყო გაწვეული, რომელთაგან 128 დაიღუპა, 600-ზე მეტი დაინვალიდდა, 7 კი ტყვედ ჩავარდა.

საქართველოს ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა შორის ავღანეთის ომში მხოლოდ ერთი - საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძე მონაწილეობდა. **ინტერ-პრესი**

### ფასების ცვლილება სურსათზე

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე კვირას ძროხის ხორცზე და კარაქზე ფასები გაიზარდა, ხოლო შაქარზე შემცირდა.

სტატისტიკოსთა ცნობით, აღნიშნულ პროდუქტებზე ფასები შესაბამისად 30 და 25 თეთრით გაიზარდა, შაქარზე კი 5 თეთრით შემცირდა. ამ კვირაში არასასურსათო საქონელზე, კერძოდ, საპონზე ფასი 5 თეთრით შემცირდა. წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე 0,28 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის სურსათზე 0,84 პროცენტით.

ერთი კვირის განმავლობაში 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილმა კალათის ფასების ცვლილებამ 100,28 პროცენტი შეადგინა. მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი წინა კვირაში გაცილებით მეტი იყო.

სტატისტიკოსთა განცხადებით, ექსპერტები ვერ განმარტავენ თუ რამ გამოიწვია სასურსათო საქონელზე ფასების ცვლილება კვირის განმავლობაში. **ინტერ-პრესი**

# სასკოლო არჩევნები საპარლამენტოზე იოლი არ იქნება

ეთერ მამულაშვილი

*საკრებულოს 29 იანვრის გადაწყვეტილება - დედაქალაქში მუნიციპალური სკოლების დაფუძნება, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლების მმართველობის დეცენტრალიზაციას ითვალისწინებს, ინიციატორების თქმით, უახლოეს დღეებში ამოქმედდება. საკრებულოს თავმჯდომარე თბილისის სკოლის დირექტორებს შეხვდა და აცნობა, რომ თვითმმართველობა დედაქალაქის ყველა სკოლაში დამკვიდრდება. ოპონენტები საკრებულოს ამ ინიციატივის სამართლებრივ საკითხზე საუბრობენ, ექსპერტები - საზოგადოების მოუმზადებლობაზე. განათლების სამინისტრომ კი საკრებულოს გადაწყვეტილება კანონსაწინააღმდეგო ნორმად შეაფასა და უახლოეს დღეებში ხსენებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელს შეიტანს. როგორ განვითარდება მოვლენები, პროგნოზირება ძნელია, მაგრამ საპარლამენტო არჩევნებამდე რომ სასკოლო არჩევნები უნდა ჩატარდეს, ამისი ინიციატორებს მტკიცედ სჯერათ.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ჩატარდება თუ არა სასკოლო არჩევნები პოლიტიკურ არჩევნებამდე, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, მაგრამ რამდენიმე დღის წინ საკრებულოს თავმჯდომარე თბილისში მოქმედი ყველა სკოლის დირექტორს შეხვდა. მან დირექტორებს სკოლებში თვითმმართველობის დამკვიდრების შესახებ უამბო, შესაბამისი დებულებისა და პროექტის ასლებიც ჩამოურიგა. დირექტორებს შენიშვნებისა და საკუთარი მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად მიხეილ სააკაშვილმა ერთი კვირის ვადა მისცა. თუმცა, შვიდდღიანი ინტერვალის გარეშეც სკოლის დირექტორთა აზრი უკვე გამოიკვეთა. გარდა იმისა, რომ ისინი მხარს უჭერენ საკრებულოს თავმჯდომარის წინადადებას, რომელიც სკოლებში ამ რეფორმის ჩატარებას ეხება, დირექტორთა უმრავლესობამ აღნიშნა: ეს არის ის, რაც წლების მანძილზე თავადაც გვსურდაო - საკუთარი სახსრების განკარგვა.

თითქოს, სკოლები თვითმმართველობის არჩევნებისთვის მზად არიან.

მანამ კი მუშაობას იწყებს საკრებულოს მიერ შექმნილი დროებითი სასკოლო საარჩევნო კომისია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სკოლებში თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზება და ამ არჩევნებისთვის თითოეული სკოლის სათანადოდ მომზადება. საარჩევნო კომისია თორმეტი კაცისგან შედგება: გია მურღულია, ლევან რამიშვილი, გივი თარგამაძე, ირაკლი ოქრუაშვილი, ჟანი კალანდაძე, ლევან ეხვაია, ბიძინა ბრეგაძე, გიგი უგულავა, გიორგი პაპუაშვილი, თიკო შელია, კახა შენგელია და თეა თუთბერიძე. დროებითი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა, თუმცა კომისიის წევრების ვარაუდით, თავმჯდომარის ვაკანტურ ადგილს საკრებულოს სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი ირაკლი ოქრუაშვილი დაიკავებს.

ამასობაში, კომისიამ უნდა დაგეგმოს და დანიშნოს თითოეულ სკოლაში არჩევნების თარიღი. ამავე კომისიის ფუნქციაში შედის არჩევნების პროცესზე თვალყურის დევნება და მშობლებთან და მასწავლებლებთან ერთად არჩევნების შედეგების შეჯამება. "მარტო მშობლები და მასწავლებლები ამას ვერ გაუძლებიან. ჩვენი კომისია დააკვირდება სკოლებში არჩევნების პროცესს და უზრუნველყოფს არჩევნების ობიექტურად წარმართვას. არჩევნებამდე თითოეულ სკოლაში ჩვენივე დახმარებით შეიქმნება მშობელ-მასწავლებლებისგან დაკომპლექტებული სპეციალური საარჩევნო კომისია", - გვითხრა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა და არჩევნების კოორდინატორმა თეა თუთბერიძემ.

სკოლებში არჩევნების დამთავრებისთანავე კომისია ავტომატურად შეწყვეტს არსებობას.

### რას ნიშნავს სკოლებში მმართველობის დეცენტრალიზაცია?

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დეცენტრალიზაციის პროექტი, პირველ რიგში, სკოლებში თვითმმართველობის დამკვიდრებას გულისხმობს. თუ სკოლის დირექტორის დანიშვნა დღემდე განათლების მინისტრის პრეროგატივა იყო (ამას ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, კანონი განათლების შესახებ), საკრებულოს წევრები დირექტორის არჩევას მოითხოვენ. ცხრაკაციანი სამეურვეო საბჭო, რომლის წევრებს (ხუთი მშობელი და ოთხი მასწავლებელი) მშობელთა სათათბირო და პედაგოგთა საბჭო ირჩევს, ხმათა უმრავლესობით ამტკიცებს დირექტორის კანდიდატურას. პროექტის მიხედვით, დირექტორი თავდაპირველად ხუთი წლის ვადით ირჩევა, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა კი სამ წელიწადში ერთხელ შეიცვლება. საკრებულოს მიერ შემუშავებული პროექტი დირექტორის რამდენიმე ვადით არჩევასაც ითვალისწინებს. იმ შემთხვევაში, თუ დირექტორი საკუთარ ვალდებულებებს ჯეროვნად ვერ შეასრულებს, სამეურვეო საბჭოს მისი "იმპიჩმენტის" უფლებაც ენიჭება. სკოლის ბიუჯეტის განკარგვაც სამეურვეო საბჭოს პრეროგატივა იქნება. ანუ ის განსაზღვრავს, თუ როგორ დახარჯოს ქალაქის ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თუ შემოწირულობებით დაგროვილი თანხები.

### ირღვევა თუ არა კანონი?

დედაქალაქის თვითმმართველობის ორგანოს განათლების ქვეკომიტეტის ხელმძღვანელი გია მურღულია ირწმუნება, რომ საკრებულოს 29 იანვრის გადაწყვეტილებას არავითარი საკანონმდებლო წინააღმდეგობა არ ექმნება. "ამის თაობაზე ჩვენ კონსულტაციები გვქონდა მაღალი რანგის იურისტებთან. საკრებულო არ იჭრება განათლების სამინისტროს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებაში, შექმნას სკოლებში სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, უხელმძღვანელოს სკოლას მეთოდოლოგიურად, და ა.შ. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ სკოლის მიერ დირექტორის არჩევა არღვევს კანონს განათლების შესახებ, არასწორია, რადგან იმავე კანონში წერია, რომ მინისტრი მხოლოდ სახელმწიფო სკოლებში ნიშნავს დირექტორს. სახელმწიფო სკოლები კი დღეს იურიდიულად არ არსებობს, რადგან ამის შესახებ არც ერთი დებულება დამტკიცებული არ არის. ჩვენ დავაფუძნებთ მუნიციპალურ სკოლებს, რისი კანონიერი უფლებაც გვაქვს, რადგან იმავე კანონში დამფუძნებლის ცნება უშუალოდ უკავშირდება დამფინანსებელს. დღეს თბილისის ყველა სკოლა, ბოლო თეთრამდე, საკრებულოსა და მერიის მიერ ფინანსდება", - აღნიშნა გია მურღულიამ "24 საათთან" საუბარში.

საკრებულოს ამ გადაწყვეტილებას განათლების სამინისტროში უარყოფითად აფასებენ. ფიქრობენ, რომ საკრებულოს მიერ მუნიციპალური სკოლების დაფუძნების ღონისძიებათა გეგმა მთლიანად ამოვარდნილია კანონმდებლობის კონტექსტიდან, ეწინააღმდეგება საქართველოს კანონთა ნორმებს. ასე რომ, არ შეიძლება, ამ გადაწყვეტილებას მოყვეს რაიმე სამართლებრივი შედეგები.

ამის თაობაზე სამინისტროს მაღალჩინოსანთა ოფიციალური კომენტარი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. არსებობს ასევე განათლების სამინისტროს იურისტთა ჯგუფის მიერ მომზადებული სამართლებრივი დასკვნა საკრებულოს 29 იანვრის გადაწყვეტილების თაობაზე. ჩვენს ხელთ არსებულ დასკვნაში ვკითხულობთ: "თუ საკრებულოს სურს ე.წ. მუნიციპალური სკოლების დაფუძნება, მას ამის სრული უფლება აქვს, ოღონდ - კანონით დადგენილი პირობების დაცვით. მუნიციპალური სკოლები უნდა დაფუძნდეს მხოლოდ ადგილობრივი ქონებით კერძო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით; ამასთან, მუნიციპალურმა სკოლებმა უნდა მიიღონ ლიცენზია და გაიარონ აკრედიტაცია "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად".

მას მერე რაც საკრებულოს აღნიშნული გადაწყვეტილება იუსტიციის სამინისტროში გაივლის რეგისტრაციას, განათლების სამინისტრო გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. მინისტრის მოადგილემ რუსუდან გორგილაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ამჟამად სამინისტროს იურისტები სარჩელის ტექსტზე მუშაობენ.

### ვინ როგორ აფასებს თვითმმართველობის სასკოლო დებულებას

ხსენებული ინიციატივის ავტორები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ოპონენტთა მცირე ნაწილი, ერთხმად თანხმდება იმაზე, რომ სკოლების მმართველობის დეცენტრალიზაცია ერთობ მიმზიდველი რამ არის. იდეის ავტორები ამტკიცებენ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვითმმართველობის დამკვიდრება, დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებში კარგად აპრობირებული წესია და დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს. "დემოკრატიულმა პროცესებმა, რაც საზოგადოებაში და ქვეყანაში მიმდინარეობს, ბუნებრივია, ასახვა უნდა ჰპოვოს სკოლებშიც. საკრებულოს ამ ინიციატივის მთავარი მიზანიც სწორედ ეს იყო", - გვითხრა განათლების მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ მანანა კობახიძემ.

პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტის გენერალური დირექტორი თამარ მეიფარიანი საკრებულოს ინიციატივის ეფექტიანობაში დარწმუნებულია. თუმცა, იმაში, რომ დღეს საზოგადოება მზად არის ამ სიახლისთვის, მეიფარიანს ეჭვი ეპარება. "რეალურად ასეთ ინიციატივას წინ უნდა უძღოდეს მთელი რიგი ღონისძიებები. მათ შორის, სპეციალური ტრენინგები, სემინარები. ეს გულისხმობს: სამეურვეო საბჭოს წევრებმა უნდა ისწავლონ, როგორ დაგეგმონ თავიანთი აქტივობა, როგორ განკარგონ ის თანხა, რომელიც სკოლაში შემოდის და როგორ მოიძიონ დამატებითი თანხა სხვადასხვა ფონდიდან სკოლისთვის საჭირო ღონისძიებათა შესასრულებლად. ასეთი სამუშაო კი ჯერ არ ჩატარებულა, რაც სერიოზულ ეჭვს აჩენს, რომ საკრებულოს ეს ინიციატივა შედეგს ვერ გამოიღებს", - თქვა თამარ მეიფარიანმა.

განვითარებულ ქვეყნებში სამეურვეო საბჭოები, მართლაც, არსებობს, მაგრამ ამის ინიციატივა საზოგადოებიდან მოდის. სასკოლო საზოგადოება ემზადება ამ ცვლილებებისთვის, შემდეგ ის თხოვნით მიმართავს საკრებულოს ტიპის დაწესებულებებს, რასაც ხშირად მხარს უჭერენ კიდეც. "ჩვენთან ასეთი დაკვეთა საზოგადოებიდან არ მოდიოდა, რაც კიდევ ერთ სერიოზულ ეჭვს მიჩენს, რომ, შესაძლოა, საკრებულოს ამ ინიციატივამ არ გაამართლოს", - ამბობს თამარ მეიფარიანი "ჩემი აზრით, საქმე გამოვა მაშინ, როცა საზოგადოება, საკრებულო და განათლების სამინისტრო ერთად გაიაზრებენ, თუ როგორი უნდა იყოს არა მარტო ეს სამეურვეო საბჭოები, არამედ, საერთოდ, სკოლის ხვალინდელი დღე".

განათლების სამინისტროს განათლების გარდაქმნის პროექტში გათვალისწინებული აქვს სკოლების დეცენტრალიზაცია, დირექტორების არჩევითობის ჩათვლით. ამისთვის მიმდინარეობს სკოლების "გადამზადება". ყველაფერი, რაც "რეფორმის" ეგიდით ტარდება, სწორედ ამისკენ არის მიმართული, აღნიშნავენ სამინისტროს წარმომადგენლები.

განათლების მინისტრი შიშობს, რომ სასკოლო არჩევნების სასწრაფო რეალიზაციით მავანთ სკოლების პოლიტიზაცია სურთ და საპარლამენტო არჩევნებისთვის გამოყენება.

მოკლე დროში უნდა გადაწყდეს, სკოლის დირექტორებს კვლავ სამინისტრო დანიშნავს, თუ სასკოლო სამეურვეო საბჭოები აირჩევენ.

წინ გველოდება განათლების სამინისტროს ოფიციალური განცხადება, საქართველოს მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირისა და სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ერთობლივი შეხვედრა: "განათლება კორუფციის გარეშე" და დამოუკიდებლობას მოწყურებული დირექტორების არმია.

## სამართალი

**თბილისი.** "საქართველოში იურიდიული განათლების მიღება ზედმეტად გამარტივებულია და ვერ უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული ცოდნისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეთვისებას," - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ გუშინ გამართულ "იურიდიული პროფესია სამართლებრივ საზოგადოებაში" კონფერენციის დროს. მისი თქმით, საუნივერსიტეტო განათლება უნდა გამკაცრდეს და მას უნდა მოყვეს სპეციალური სწავლება, როგორც ეს საფრანგეთშია, ან სპეციალური გამოცდა, როგორც ეს აშშ-ს პრაქტიკაშია. ჭანტურია მიიჩნევს, რომ მოსაფიქრებელია იურისტად გახდომის როგორც საუნივერსიტეტო, ასევე შემდგომი სწავლების ფორმები, მეთოდები და შინაარსი. კონფერენცია ამერიკის იურისტთა ასოციაციის, ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივის (ABA=CEELI), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ბიუროს (OSCE-ODIHR), გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოების (GTZ) და საფრანგეთის საელჩოს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

**თბილისი.** 15-02-03. ევროსაბჭოს მონიტორინგის დელეგაცია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ლადო ჭანტურიასთან შეხვედრის დროს ქვეყანაში არსებული დაუსჯელობის სინდრომით, ხელისუფლებაში კორუფციის ფაქტებითა და მოსამართლეთა განათლების საკითხებით დაინტერესდა. როგორც კავკას-პრესს უზენესი სასამართლოს პრესცენტრიდან აცნობეს, ევროსაბჭოს დელეგაციის წევრები მატიას ეორში, ევგენი კირილოვი, ვალერი კლამერი და გეზა მეზეი შეხვედრისას ასევე დაინტერესდნენ ქვეყანაში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში სასამართლო ხელისუფლების მონაწილეობით, საარჩევნო კოდექსის ცალკეული დეტალებით და მისი კონკრეტული პრობლემებით. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის სხდომათა დარბაზში საქართველოში მოქმედი პროკურორების, პროკურატურის გამომძიებლებისა და პროკურატურის სისტემაში მუშაობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდების მეექვსე ტური AOUEI დაიწყო. გამოცდებში, რომელსაც იუსტიციის საბჭო ატარებს, 230 პირი მონაწილეობს, აქედან 125 პროკურატურის სისტემის თანამშრომელია. პროკურორობის და გამომძიებლობის მსურველებს პასუხის გაცემა 100 კითხვაზე მოუწევთ, მათგან სწორი პასუხი მინიმუმ 75-ს უნდა გაეცეს. გამოცდა აშშ-ს დაფინანსებით შემუშავებული სპეციალური კომპიუტერული პროგრამით ტარდება. გამოსაცდელ პირებს "შპარგალკების" და მობილური ტელეფონების გამოყენება კატეგორიულად ეკრძალებათ. პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდები საქართველოში მიმდინარე ძალოვანი უწყებების რეფორმის ფარგლებში ტარდება. **ინტერ-პრესი.**

# ენგურის ხიდზე კიდევ ერთი აფეთქება მოხდა

სოფიკო ჩხაიძე

ენგურის ხიდზე გუშინწინ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ჯერ არ აღძრულა, რადგან მოკვლევის შედეგები, ჯერჯერობით, შეჯამებული არ არის, ენგურის ხიდზე მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეები კი ახალი აფეთქების მომსწრენი ხდებიან.

გუშინწინ, აფხაზეთიდან დევნილთა საკოორდინაციო შტაბის კარვის ფანჯარაზე ჩამოკიდებული, საათის მექანიზმით მართული ხელყუმბარა აქციის მონაწილეებმა დროულად აღმოაჩინეს. შეკრებილი ხალხი იქაურობას სასწრაფოდ გაშორდა და ნაშუადღევს აფეთქებულ ხელყუმბარას არავინ დაუშავებია. გუშინწინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ხელყუმბარის აფეთქების დრო სპეციალურად იყო გათვლილი. აფეთქება იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც საპროტესტო აქციის საკოორდინაციო საბჭო კარავში სხდომას გამართავდა. აქციის მონაწილეებმა მომხდარს პროვოკაცია უწოდეს და მის სავარაუდო მომწყობად, დაასახელეს როგორც საქართველოს ხელისუფლება, ასევე აფხაზი სეპარატისტები და რუსი სამშვიდობოები, რადგან თვლიან, რომ სამივე მხარეს აქვს ენგურის ხიდზე მიმდინარე აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ საკმარისი მიზეზები.

მიუხედავად გუშინწინ მომხდარი ინციდენტისა, აქციის მონაწილეები გუშინ ფართომასშტაბიანი მიტინგის ჩატარებას მაინც აპირებდნენ.

ხალხმრავალი მიტინგი ზუგდიდის ცენტრში მართლაც ჩატარდა. საპროტესტო აქციაზე, რომელსაც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან ჩასული ლტოლვილებიც ესწრებოდნენ, ცეცხლი წაუკიდეს რუსეთის სამშვიდობო ძალების სამხედროფორმიან ფიტულებს. მომიტინგეები საათნახევარში დაიშალნენ. ენგურის ხიდთან კი ახალი აფეთქება მოხდა. ამჯერად - აქციის საკოორდინაციო შტაბის კარვიდან ცოტა მოშორებით. მიუხედავად იმისა, რომ კარავში აქციის რამდენიმე მონაწილე იმყოფებოდა, აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა. დაზიანდა ხიდი.

**" დივერსია-აფეთქება რუსეთის სამშვიდობო ძალების, ან თავად ზოგიერთი დევნილის ორგანიზებული შეიძლება იყოს. ჩვენს შორისაც არიან ისეთები, ვისაც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება არ სურს "**, - ასეთია საპროტესტო აქციის მონაწილეთა საერთო აზრი გუშინ მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით. ზედიზედ მომხდარი აფეთქებების საკითხის გარკვევას აქციის მონაწილეები სამართალდამცველებისგან ითხოვენ. **" სისხლის სამართლის საქმე მომხდართან დაკავშირებით აუცილებლად აღიძვრება. ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდება, როცა საქმეს მოვიკვლევთ ", -** ასეთ მოკლე და კონკრეტულ კომენტარს აკეთებენ სამართალდამცველები, რომლებიც, უკვე მესამე დღეა, ზედიზედ მომხდარი აფეთქებების ადგილის დათვალიერებით არიან დაკავებულნი.

# ვნებათაღელვა ბერლინში დასრულდა



REUTERS

ედ ჰარისი, ნიკოლ კიდმანი და სტივენ დალდრი



REUTERS

პატრის შერო

გუშინ "ბერლინალეს" გამარჯვებულები გამოვლინდნენ. კინოფესტივალის ჟიურის პრეზიდენტმა, კანადელმა რეჟისორმა ***ატომ ეგოიანმა*** რიგით 53-ე "ბერლინალეს" საუკეთესო ფილმი დაასახელა. წლევანდელი "ბერლინალეს" ფავორიტი ***მაიკლ უინტერბოტომის*** ფილმი "ამ სამყაროში" აღმოჩნდა. ბრიტანელი რეჟისორის კინოსურათი ინგლისში გამოქცეულ ორ ავღანელ ლტოლვილზე მოგვითხრობს.

საუკეთესო რეჟისორად ფრანგი ***პატრის შერო*** აღიარეს ("მისი ძმა"). ***სემ როკველს*** წლის საუკეთესო მსახიობის წოდება ჯორჯ კლუნის პირველ კინოსურათში ("სახიფათო ტვინის აღსარება") შესრულებული როლისთვის მიენიჭა. "ვერცხლის დათვები" საუკეთესო ქალის როლისთვის მსახიობებმა: ***ნიკოლ კიდმანმა, მერილ სტრიპმა*** და ***ჯულიანა მურმა*** გაინაწილეს. შეგახსენებთ, მათ ერთად ითამაშეს სტივენ დალდრის ფილმში "საათები".

ჟიურიმ "საუკეთესო ფილმისთვის" სპეციალური პრიზით დააჯილდოვა ***სპაიკ იონცის*** "ადაპტაცია" (მთავარ როლში ნიკოლას კეიჯი). საუკეთესოდ აღიარეს ***მაიოლის, სერჟ ფიორისა*** და ***მამადუ დიაბატეს*** მუსიკა, რომელიც მუსა სენე აბსას ფილმში "მადამ ბრუეტი" ჟღერს. საუკეთესო ევროპული ფილმისთვის "ცისფერი ანგელოზის" პრემიით აღინიშნა ***ვოლფგანგ ბეკერის*** ნამუშევარი "მშვიდობით, ლენინ!"; ხოლო ალფრედ ბაუერის პრიზი ***ჩენ იმოუს*** "გმირს" ერგო.

# სიყვარული ფრანგულად

## აბაზანაში ჩაწერილი ჰიტის ხიბლი და ფრანგული საცეკვაო მუსიკის ესთეტიკა

ვერა ნეფარიძე

ღამისთევის მოყვარულ თბილისელებს პარასკევს ჩვეულებრივზე მეტი არჩევანი ჰქონდათ. ვერ ვიტყვი, რომ ადგილობრივი ბარ-რესტორნები შეყვარებულ წყვილებს არაორდინალურ დროსტარებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ ისინი, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გადაჭედილი იყო. აქედან გამომდინარე, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე ორიგინალურად საღამო მაინც სასტუმრო "მერიოტისა" და "აჭარა მიუზიკ ჰოლის" სტუმრებმა გაატარეს. თანაც, ამ ორ ღონისძიებას ერთმანეთისთვის ხელი არ შეუშლია.

ეს ორი ღონისძიება დანარჩენებისგან განსხვავებით ყველაზე ორიგინალური თუნდაც იმიტომ იყო, რომ იქ მაინც არ ჰყავდათ მიწვეული მოყირჭებული ქართველი "ფონოგრამშიკები"; ხოლო თუკი შინაარსობრივად დიდი ვერაფერი მოიფიქრეს, ღონისძიების გარეგნულ მხარეზე მაინც შეძლეს ყურადღების გამახვილება.

მოკლედ, თბილისელებისთვის "ვალენტინობა" სასტუმრო "მერიოტში" საღამოს რვა საათზე "მაკა ასათიანის გაერთიანებული ჩვენებით" დაიწყო. თბილისელი დიზაინერის ყველა ღონისძიებისათვის ჩვეული ხალხმრავლობა და პომპეზურობა არც გუშინწინდელ ჩვენებას აკლდა. თავს ვერ დავდებ, რომ ყველა სტუმარმა შეძლო პოდიუმისთვის თვალის დევნება, რის გამოც, უმრავლესობა ცალკეული მოდელების სახის დანახვას დასჯერდა. თოთხმეტი კოლექციის წარმოდგენას თითქმის ერთი საათი დასჭირდა. მათ, ვისაც ეს სანახაობა გამორჩა, წარმოდგენილი კოლექციის ნახვა მაკა ასათიანის სალონში შეუძლია.

შეცდა ის, ვინც "გაერთიანებული ჩვენების" შემდეგ "მერიოტში" დაგეგმილი "ხუთვარსკვლავიანი ფართი" იმ მიზეზით გამოტოვა, რომ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ფრანგი დიჯეების კონცერტზე არ დაეგვიანა. ამ კატეგორიამ იმის გარდა, რომ "მერიოტის" ეგზოტიკურ კერძებს ვერ გაუსინჯა გემო, თითქმის საათნახევრიანი ლოდინი მიიღო შედეგად. როგორც გვითხრეს, ფრანგმა მუსიკოსებმა "საუნდ ჩეკზე" მისვლა დააგვიანეს, რის გამოც ნაადრევად მისულ სტუმრებს კლუბში დი-ჯეების რეპეტიციაზე დასწრება მოუხდათ.

საკლუბო მუსიკის მოყვარულებს გაუმართლათ. "აჭარა მიუზიკ ჰოლმა" შესაფერისი არჩევანი გააკეთა და Supermen Lovers-ის მოწვევით ერთბაშად გაახარა როგორც საცეკვაო მუსიკის თაყვანისმცემლები, ისე კლუბის ერთგული წყვილები.

Supermen Lovers-ს ჩვენთან დუეტის გახმაურებული ჰიტის Starlight-ის წყალობით იცნობენ. იმის მიუხედავად, რომ 27 წლის პარიზელი მუსიკოსის გიიომ ატლას საავტორო პროექტი ჯერ მხოლოდ ორი წლისაა, Supermen Lovers მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული საცეკვაო პროექტია. ის შარშან გახდა პოპულარული, მას შემდეგ, რაც რადიო FG-მ Starlight დაატრიალა ეთერში. მას შემდეგ ეს სიმღერა მსოფლიოს წამყვანი რადიოების ჰიტად იქცა. თუმცა, ყველაფერი ასე ერთბაშად არ მომხდარა.

გიიომ ატლა ათი წლის განმავლობაში კონსერვატორიაში სწავლობდა; აქვს პიანისტის დიდი გამოცდილება; უკრავდა საკმაოდ ბევრ acid-jazz ჯგუფებში. დაახლოებით ორი-სამი წლის წინათ კი აღმოაჩინა, რომ მისთვის უფრო აქტუალური ელექტრონული მუსიკა იყო. ამის შემდეგ გიიომი მთელი გულისყურით



დუეტი Supermen Lovers

ჩაუჯდა მის ახალ საავტორო პროექტს Supermen Lovers-ს. თავიდან მუსიკოსს მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამის ნათელი ილუსტრაციაა ერთ-ერთი ფაქტი: თურმე გიიომს პირველ ჰიტში Starlight ხმის ეფექტების მისაღწევად, ვოკალის ჩაწერა აბაზანაში მოუხდა. თუმცა, ამ ფაქტს ხელი ნამდვილად არ შეუშლია, რომ ჩანაწერი სინგლის სახით მილიონი ეგზემპლიარი გაყიდულიყო. გიიომის პირველი ჩანაწერების მიმოხილვისას, ხშირად ჯორჯ ბენსონის ვოკალის მსგავსებაზე საუბრობენ. დღეს გიიომი ღიმილით იხსენებს პირველ ნაბიჯებს ელექტრონულ მუსიკაში და ამბობს, რომ იმ დროს ვერც კი წარმოიდგენდა, თუკი ოდესმე ისე გაუმარტივდებოდა მუშაობა, როგორც დღეს.

Supermen Lovers-ის სტუდიურ პროექტებში როგორც წესი, ბევრი მუსიკოსი მონაწილეობს ხოლმე. საკონცერტო გამოსვლებში კი გიიომი ერთ მუსიკოსს (თბილისშიც Supermen Lovers დუეტის სახით გამოვიდა) იშველიებს. Supermen Lovers თბილისს სამკაციანი შემადგენლობით (დუეტთან ერთად იყო მათი პროდიუსერიც) ეწვია. მუსიკოსების დაგვიანებას საღამოს საერთო განწყობაზე ხელი არ შეუშლია. ვარდის ფურცლებით მოფენილ დარბაზში მოცეკვავეები ფრანგი დი-ჯეების გამოჩენისთანავე გააქტიურდნენ. საღამოს მთავარი ატრიბუტი კი ფრანგულ მუსიკასთან ერთად სტუმრებისთვის დარიგებული ვარდებიც იყო. მხიარულება "აჭარა მიუზიკ ჰოლში" ჩვეულებრივზე დიდხანს გაგრძელდა, Supermen Lovers-მა კი გუშინ დატოვა თბილისი.

# ლიტველი მაესტრო

## 16 თებერვალი ლიტვის ეროვნული დღესასწაულია - სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე

ეკა გვახარია

იყო ასეთი ადამიანი – რიმას ბურნეიკა ლიტვიდან. ბევრს შეიძლება, გაგონილიც არ გაქვთ მის შესახებ. არადა თამამად შეიძლება ითქვას რომ ამჟამად საქართველოში თანამედროვე ტიხრული მინანქრის ხელოვნების ჩამოყალიბება და აყვავება სწორედ მისი დამსახურებაა.

ყველაფერი კი ასე, უბრალო მეგობრობით დაიწყო: "მხატვარი რიმას ბურნეიკა შემთხვევით გავიცანით მე და ლევან ლომიძემ ვილნიუსში, – გვითხრა არქიტექტორმა და დღეს ტიხრული მინანქრის ერთ-ერთმა ცნობილმა ოსტატმა ნიკა ცქიფურიშვილმა, – ძალიან დავახლოვდით და მერე როგორც ხდება ხოლმე, დავპატიჟეთ ჩვენთან თბილისში. გავაცანით ჩვენი სხვა მეგობრებიც. რიმასი ერთ-ერთი ჩვენი მეგობრის სახელოსნოში დაბინავდა მთაწმინდაზე. ამ პერიოდში ის უკვე აქტიურად მუშაობდა ტიხრულ მინანქარზე." რიმასს თავისი ტექნოლოგია ჰქონდა გამომუშავებული, აკეთებდა არაჩვეულებრივი ხარისხის მინანქარს. ლიტველი მეგობრის ამ საქმიანობით დაინტერესდნენ ქართველი არქიტექტორებიც. მისი მოწაფეები იყვნენ ზაზა ლოდია და ამჟამად გარდაცვლილი გოგა კუპრაძე, რომელთა სახელებთანაა დაკავშირებული ქართული თანამედროვე ტიხრული მინანქრის ხელოვნების განვითარება. "ხან რიმასი იყო საქართველოში, ხან ჩვენ მივდიოდით ლიტვაში. ბოლოს, სანამ არეულობები დაიწყებოდა საბჭოთა კავშირში, ჩემს სახელოსნოში ცხოვრობდა ცხრა თვის განმავლობაში. მაშინ დავემოწაფე მეც," - გვითხრა ნიკა ცქიფურიშვილმა.

რიმას ბურნეიკა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. ის 2002 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა. აი, როგორ იხსენებენ მას ქართველი მეგობრები:

"რიმასი ვილნიუსში ცხოვრობდა. ქალაქის ცენტრში არის ულამაზესი ადგილი, ფიჭვნარი, ხელოვანთა უბანი. სწორედ აქ გავიცანი, ერთ-ერთ ძველით ახალ წელს. მისი სახლი ნამდვილი სამოთხე იყო. მახსოვს, ვქეიფობდით, ფანჯრებთან შვლები რომ მოვიდნენ სიზმარში მეგონა თავი... ლიტვაშიც და საქართველოშიც ბევრს ვმოგზაურობდით, ძალიან ბუნებრივად და მეგობრულად ხდებოდა კულტურების გაცვლა. როგორც ადამიანი, ყველა წრის ხალხში სიმპათიას იწვევდა, ძალიან სადა იყო. რამდენჯერმე გოგა კუპრაძეს წერილი მოსწერა, კარგი ენა ჰქონდა, ზოშჩენკოს ნაწერი გეგონებოდათ. იყო ინტელექტუალი და დიდი მელომანი. ისე, უფრო ფიროსმანის ტიპაჟი იყო, რაღაცნაირად ვერ მოერგო ამ ცხოვრებას. ძალიან მომენატრა... ჩემთვის ეს კაცი ი ნამდვილი მხატვარი და ესთეტი იყო,"-გვითხრა ზაზა ლოდიამ.

" საინტერესო ტიპი იყო. ერთ დღეს, მაშინ, როცა ჩემს სახელოსნოში ცხოვრობდა, მივაკითხე. კარი არ გამიღო, ვიფიქრე, რა სჭირს? რამის მთელი კარები ჩამოვიღე. იქვე ვცხოვრობდი და გაუფრთხილებლად არ მიდიოდა არსად. ბოლოს საიდანღაც გადავძვერი. უცებ გამოდის რიმასი ძალიან მშვიდი სახით, მე ვყვირი: სად ხარ! რატომ არ გამიღე კარები-თქო. მან ასევე მშვიდი ტონით მიპასუხა: რანუვგალ ... ერთხელ წითელი ღვინო მოინდომა, მოვიტანეთ და ვუთხარი შენ უნდა გვითამადო-თქო. თავიდან გაგვიძალიანდა მერე კი დალია ერთი სადღეგრძელო, რომელსაც პირადად მე ყველა ქეიფში ვსვამ რიმასის პატივსაცემად: ხვალ უკეთესი დღე იყოს, ვიდრე დღესაა," -



რიმას ბურნეიკა თავის ოჯახთან და ზაზა ლოდიასთან ერთად

მოგვიყვა ნიკა ცქიფურიშვილმა.

"რიმასი ჩემთვის ძალიან ახლო მეგობარი იყო. ძალიან კარგი ადამიანი... საქართველოზე უზომოდ შეყვარებული. მახსოვს, რა დიდი გავლენა მოახდინა მასზე, როდესაც ძველი ქართული ტიხრული მინანქრის შედევრები ნახა მუზეუმში. ეს იყო მცოდნე კაცის დაფასება ზოგადსაკაცობრიო კულტურისა. მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას. რიმასის ტექნოლოგიამ მოულოდნელი გაგრძელება ჰპოვა საქართველოში. მის მეგობრებს გული გვწყდება, რომ მის სიცოცხლეში ვერ მოვახერხეთ რიმასის გამოფენის მოწყობა. მაგრამ აუცილებლად გვინდა ჩამოვიყვანოთ მისი შვილები და ვაჩვენოთ, რა შედეგი გამოიღო მათი მამის შრომამ. ისე, რამდენიმე წლის წინ ჩვენგან ბოლოს მე ვნახე, საკმაოდ მოტეხილი იყო..."- გვითხრა გიორგი მარგიშვილმა.

რიმას ბურნეიკა ძალიან ახალგაზრდა, დაახლოებით, 46 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის განათლებული, მოკრძალებული და ნიჭიერი ხელოვანი იყო. ასეთები მალე მიდიან ხოლმე. როგორც ზაზა ლოდიამ გვითხრა: "საქართველომ ამ ადამიანს ძალიან ბევრი მისცა, მაგრამ მისგან უფრო მეტი მიიღო". რიმასის მოსწავლეებმა ახალი თაობა აღზარდა, ისინი თავის მხრივ კიდევ ზრდიან ტიხრული მინანქრის ხელოვნების გამგრძელებლებს. დაარსებულია სხვადასხვა სკოლები. ასე რომ, ამ უძველესი, თავის დროზე საქართველოში ძალიან განვითარებული დარგის ხელახალ დაბადებას სწორედ ლიტველ რიმას ბურნეიკას უნდა ვუმადლოდეთ.

# კულტურის პოლიტიკა - ახალი ხელოვნება



ფუნიკულიორი დღეს

*14-15 თებერვალს გალერეა "უნივერსმა" წარმოგვიდგინა პროექტი "კულტურის პოლიტიკა - ახალი ხელოვნება", რომელიც მოიცავდა გამოფენას, დებატებს, დოკუმენტაციას და ინტერაქტივს. ამ ღონისძიების ინიციატორი გახლდათ ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორია (ნანა ყიფიანი, თეა ტაბატაძე, ნინო გუნია, თეონა ჯაფარიძე). პროექტი მომზადდა მხატვრებთან, ხელოვნებათმცოდნეებთან, მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. ავტორთა მიზანია შეკრიბოს ყველა ის ადამიანი, ვინც მუშაობს თანამედროვე ხელოვნების სფეროში და ვინც დაინტერესებულია ახალი ქართული ხელოვნების ბედით და ვისაც ევალება ქართული კულტურის მართვა და ზრუნვა მის აწმყოსა და მომავალზე. ფაქტობრივად, ეს არის ცდა, დაფიქსირდეს არსებული სიტუაცია ქართულ კულტურაში. ამისთვის, გათვალისწინებული იყო მრავალმიმართულებიანი დისკუსიების გამართვა კულტურის პოლიტიკის გარშემო.*

ირენა მახარაძე

14 თებერვალს გალერეაში შეიკრიბნენ მხატვრები, კრიტიკოსები, გალერისტები, აქტუალური ხელოვნების მცირერიცხოვანი გულშემატკივრები. კულტურის პოლიტიკის გარშემო რეფლექსიები დაიწყო აქციის - "გა(უ)მტყდარი ხედი" - ჩვენებით. თავიდან, პროექტორის ეკრანზე გამოჩნდა ფიროსმანის ნახატი, რომელზეც გამოსახულია ფუნიკულიორზე ამავალი ტრამვაის ხაზი (აშენდა 1902 წელს ბელგიელების მიერ), ამის შემდეგ ვხედავთ კადრს, რომელიც საუკუნისწინანდელი ხედის საპირისპიროა -დანგრეული, დასახიჩრებული.

რამდენიმე დღის წინ ქართველი და უცხოელი მხატვრები ამ გზით ავიდნენ ფუნიკულიორზე და იქედან გადმოხედეს ქალაქს. აქციის მონაწილეებმა (დანიელ ბრეფინი (შვეიცარია), თემო ჯავახიშვილი, მამუკა ცეცხლაძე, ილიკო ზაუტაშვილი, ლევან ჭოღოშვილი, მანანა დვალი, ლია შველიძე, რეინა ეფენდი, ნიკო ლომაშვილი, მამუკა ჯაფარიძე, არქიტექტორები - ვატო ლეჟავა და ვაჟა კუხიანიძე) გაიხსენეს ძველი თბილისი, შუასაუკუნეების, 19 საუკუნის, საბჭოთა პერიოდისა. საუბრობდნენ კულტურის პოლიტიკაზე, ქალაქის ბედზე, თუ რა კულტურას წარმოაჩენს ახლანდელი მშენებლობებით იერცვლილი ქალაქი. ეს იყო ამ აქციის იდეა, რომელიც ეკუთვნის თბილისზე შეყვარებულ ინგლისელ მხატვარს ბრიუს ალანს.

აქციის ჩვენების შემდეგ, შუაგულ დარბაზში მრგვალ მაგიდას შემოუსხდნენ მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, გალერისტები. საუბრები ეხებოდა კულტურის პოლიტიკას და თანამედროვე ხელოვნებას, სახელმწიფოს პირდაპირ და ირიბ ჩარევას ახალი ხელოვნების ფუნქციონირების საკითხებში, გალერეებს, კერძო და სახელმწიფო ფონდებს, მხატვრის თავისუფლებას და პასუხისმგებლობას, ახალ ტექნოლოგიებს. დისკუსია გაიმართა იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ჩამოყალიბდა ჩვენთან ახალი ხელოვნების პოპულარიზაციის მექანიზმი, რატომ მოექცა აქტუალური ხელოვნება იზოლაციაში.

გამოფენაზე წარმოდგენილი ვიდეო ინსტალაციები (თ.ჯავახიშვილი, ნ.ცეცხლაძე, ა.რიაბუშენკო, ლ.დარახველიძე, ი.ზაუტაშვილი), ფოტოგრაფია (გ.სუმბაძე, ი.ზაუტაშვილი), ობიექტი (ლ.ჭოღოშვილი, ნ.მაჩაიძე, ნ.ჩხეიძე) დაკავშირებულია პროექტის კონცეფციასთან. ეს ნამუშევრები ბოლო 10-12 წლის მანძილზეა შესრულებული.

რა თქმა უნდა, რამდენიმე საათი თუ დღე ვერ ამოწურავს ქართულ კულტურაში არსებული პრობლემების წრეს და შეუძლებელია უცებ რაიმე შედეგის ან შეთანხმების მიღწევა.

დღეს ინტერესი აქტუალური ხელოვნების მიმართ არც ისე დიდია საზოგადოების მხრიდან. თვით სპეციალისტებიც, ზოგჯერ იგნორირებას უკეთებენ ახალ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს, ან თვითნებურად კეთდება მათი ანალიზი. რაც შეეხება მედიას, ტელევიზიას, აქაც ქაოსია - სკანდალების და ჭორების ტირაჟირებას აყოლილი მედია "ხელსაყრელი" რაკურსით აშუქებს კულტურის მოვლენებს და მისეულ "იერარქიას" სთავაზობს მაყურებელს, რომელიც ბუნებრივად ექცევა სენსაციურობის გიპნოზქვეშ. ამგვარ გარემოში, ხელოვნებას არ უჩანს რაიმე რეალური საყრდენი, ხოლო მის შეფასებას და ანალიზს ეკარგება გულწრფელობის და ჯანსაღი აზროვნების სული.

## კალენდარი

# 16 თებერვალი



1925 წელს ლონდონში დაბადებული ჯონ შლეზინგერი ჯერ ოქსფორდში სწავლობდა, 50-იან წლებში კი თეატრსა და კინოში სახასიათო როლებს ასრულებდა. რეჟისორობა BBC-ზე დაიწყო.

45-წუთიანი დოკუმენტური ფილმისთვის "ტერმინალი", რომელიც ლონდონის დიდ სადგურში ცხოვრების ამბავს ასახავდა, ჯონ შლეზინგერმა ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე "ოქროს ლომი" მოიპოვა. ამ გამარჯვებამ რეჟისორს პირველი მხატვრული ფილმის გადაღების შესაძლებლობა მისცა.

ეს ფილმი, A Kind Of Loving (1962), ინგლისის ჩრდილოეთში, ინდუსტრიულ ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა მუშების ერთობლივი ცხოვრების პირველი წლების შესახებ გვიამბობს. ფილმმა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე "ოქროს დათვი" მოიპოვა.

შლეზინგერმა თავის შემოქმედება "თავისუფალი კინოსთვის" დამახასიათებელი სოციალური რეალიზმის სულისკვეთებით დაიწყო, მაგრამ დროულად იგრძნო ისიც, რომ ომისშემდგომი ინგლისური საზოგადოება "მომხმარებელთა საზოგადოებად" იქცა და ამიერიდან მაყურებლისთვის მთავარი თემები წარმატება და თვითრეალიზაცია იყო. ასეთი ფანტაზიებით სულდგმულობს ფილმში "მატყუარა ბილი" (1963) დამკრძალავი ფირმის ახალგაზრდა კლერკიც, რომელიც თავისი ოცნების ხორცშესხმას და საყვარელ გოგონასთან ერთად ლონდონში წასვლას ვერ ბედავს. ამავე თემას განავრცობს 1965 წელს გადაღებული Darling – ფოტომოდელის პროფესიული წინსვლის ისტორია.

70-იანი წლების დასაწყისში ინგლისურ საზოგადოებაში გამეფებული აპათია შლეზინგერმა საუკეთესოდ გადმოსცა ფილმში "კვირადღე, წყეული კვირადღე" (1971). ფილმი მოხუცებული ჰომოსექსუალისტი ექიმის და ახალგაზრდა ქალის განცდების შესახებ მოგვითხრობს – მათ ერთი საყვარელი ჰყავთ, რომელიც, საბოლოოდ, ორივეს ტოვებს და ამერიკაში მიემგზავრება.

მანამდე, 1969 წელს, თავად რეჟისორიც ამერიკაში გაემგზავრა და იქ გადაიღო ფილმი "შუაღამის კოვბოი", რომელმაც "ოსკარი" მოიპოვა. ამ ფილმში დიდი ქალაქიდან გარიყულ უიღბლო მამაკაცებს იონ ვოიტი და დასტინ ჰოფმანი თამაშობენ. ხოლო 80-იან წლებში გადაღებულ რამდენიმე ფილმში რეჟისორი ჯაშუშობის ფსიქოლოგიის კვლევას ცდილობს.

ბრიტანელი რეჟისორი, **ჯონ შლეზინგერი**, დაიბადა 1925 წლის 16 თებერვალს.

### რემერის ახალი კონტრაქტი

ბერლინის "ჰერტას" მენეჯერმა, დიტერ ჰიონესმა, კლუბის ერთ-ერთ ლიდერს, 30 წლის მარკო რემერს აქამდე არნახული კონტრაქტი დაუდო 2005 წლის ივლისამდე. კონტრაქტის უჩვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ამიერიდან ფეხბურთელი ფულს გუნდის მიერ მოპოვებული წარმატებების მიხედვით მიიღებს. რემერის ხელფასი 2,2 მილიონი ევრო 1,1 მილიონ ევრომდე შემცირდა. სამაგიეროდ, "ჰერტას" თითოეული მოგებისთვის რემერი 40 000 ევროს მიიღებს, ფრე ბერლინში 20 000 ევრო ღირს, მუდმივად ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა კი პრემიის მომტანია. თუ რემერი თანაგუნდელს შეცვლის და მხოლოდ ერთ ტაიმს ითამაშებს, მაშინ პრემია გაუნახევრდება. ტრავმის შემთხვევაში კლუბი ფეხბურთელს ექვსი კვირის განმავლობაში უხდის ხელფასს.

მიუხედავად იმისა, რომ რემერს სტაბილური შემოსავალი გაუნახევრდა და მთლიანად მატჩის შედეგზე გახდა დამოკიდებული, ფეხბურთელი მაინც კმაყოფილია ახალი კონტრაქტით და აცხადებს, რომ გუნდში თამაში ბევრად უფრო საინტერესო გახდება.

### კიდევ ერთი ძანეტი კუპერისთვის

"ინტერის" არგენტინელ და იტალიელ მოგვარეებს - ხავიერსა და კრისტიანოს, შესაძლოა, სულ მალე, კიდევ ერთი ძანეტი შეემატოთ. მილანელთა არგენტინელ თავკაცს, ექტორ რაულ კუპერს ძალიან მოსწონს "ვიჩენცას" 21 წლის ნახევარმცველი პაოლო ძანეტი, რომელიც იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრიცაა და ერთ-ერთ ამომავალ ვარსკვლავად ითვლება.

პაოლო ძანეტის კარგი თამაში, როგორც კლუბში, ისე ნაკრებში, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დიდ გუნდებს. როგორც იტალიური სპორტული პრესა იუწყება, ახალგაზრდა ნახევარმცველის შეძენის სურვილი, "ინტერის" გარდა, "პარმას", "რომას" და "იუვენტუსსაც" აქვთ. ასე რომ, პაოლო ძანეტის კარიერის გაკეთების კარგი შანსი ეძლევა.

### "იუვეს" წინააღმდეგ ვერონის გარეშე

"მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი, ინგლისელთათვის სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგის ორივე მატჩს გამოტოვებს ტურინის "იუვენტუსთან". ვერონი რომ პირველ შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებდა, ეს დიდი ხანია ცნობილი იყო, მაგრამ თუ არგენტინელი ტურინშიც ვერ ჩავიდოდა, ეს ფაქტი ახლახან გახდა ცნობილი.

ოთხშაბათს არგენტინის ეროვნულმა ნაკრებმა ჰოლანდიელებთან გამართა ამხანაგური მატჩი და დამარცხდა. ვერონი სწორედ ამ შეხვედრაში დაშავდა. არგენტინელმა პლეიმეიკერმა უცნაური ტრავმა მიიღო - მას მარჯვენა ფეხის თითი მოსტყდა. ასე რომ, ვერონს, ფორმის დასაბრუნებლად, გაუთვალისწინებელი პაუზის გაკეთება მოუწევს.

### "რომას" კომორანეზის გადაბირება სურს

"რომას" პრეზიდენტს, ფრანკო სანსის, გადაწყვეტილი აქვს, ზაფხულში გუნდი გააძლიეროს და ამ მიზნით "იუვენტუსის" ფეხბურთელი, მაურო კომორანეზი შეიგულა. მას შემდეგ, რაც იტალიის ნაკრებში "იუვეს" ახალგაზრდა ფეხბურთელის დებიუტი შედგა, მის მიმართ არა მხოლოდ იტალიის, არამედ მთელი ევროპის წამყვან კლუბებს გაუღვივდათ ინტერესი. კომორანეზის გადაბირების სურვილი უკვე გამოავლინეს ისეთმა გრანდებმა, როგორებიც არიან მილანის "ინტერი", ლონდონის "არსენალი" და მადრიდის "რეალი".

ამჟამად კომორანეზიზე უფლება აქვს ორ იტალიურ კლუბს - "ვერონას", რომელშიც შედგა მისი დებიუტი და ამჟამინდელი კლუბი, "იუვენტუსი". ფეხბურთელის ახალ კლუბში გადასვლის შემთხვევაში ეს გუნდები თანაბრად გაიყოფენ სატრანსფერო შემოსავალს. თუმცა, თავად საყოველთაო ინტერესის ობიექტი, მაურო კომორანეზი, არსად წასვლას არ აპირებს. მისმა პირადმა აგენტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მაუროს გადაწყვეტილი აქვს, ტურინში დარჩეს და სხვა კლუბში გადასვლაზე ფიქრიც კი არ სურს. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, რომ ასეთი პოზიციით კომორანეზი და მისი აგენტი სატრანსფერო ფასის გაზრდას ესწრაფიან.

### რონალდო "არსენალში" გადასვლას არ აპირებს

მადრიდის "რეალის" პრეს-სამსახურის უფროსმა ხოაკინ მოროტომ უარყო გავრცელებული ხმები იმის თაობაზე, თითქოს რონალდო მადრიდიდან ლონდონში გადასვლას და იქაურ "არსენალში" თამაშს აპირებს. ეს ინფორმაცია ლონდონის პოპულარულმა გაზეთმა "SUN"-მა გაავრცელა. მოროტოს თქმით, იგი უფლებამოსილია, რონალდოს სახელით განაცხადოს, რომ ბრაზილიელ თავდამსხმელს "მოლაპარაკებები არ გაუმართავს "არსენალის" ხელმძღვანელებთან და ამას არც აპირებს".

"ამას გარდა, რონალდოს აზრადაც არ მოსვლია "სამეფო კლუბის" დატოვება. "რეალი" მხარს უჭერს თავის ფეხბურთელს", - განუცხადა ესპანურ გაზეთ "Marca"-ს მოროტომ.

### ანელკა საფრანგეთის ნაკრებში თამაშზე უარს აცხადებს

"მანჩესტერ სიტის" 23 წლის თავდამსხმელმა ნიკოლა ანელკამ განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებს. ეს გადაწყვეტილება ფრანგმა ფეხბურთელმა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მიერ მისი ორი თამაშით დისკვალიფიკაციის პასუხად მიიღო. ფედერაციამ იგი გასული წლის ნოემბერში იუგოსლავიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩზე გამოუცხადებლობის გამო დასაჯა. "ნაკრები ჩემთვის დასანანი წარსულია. თუმცა, მე მსოფლიო ჩემპიონატი გამომატოვებინეს და ამის გამო არ მოვმკვდარვარ. უნაკრებოდ ყოფნას როგორმე ამის შემდეგაც გადავიტან", - განუცხადა ფეხბურთელმა ინგლისურ გაზეთ "Daily Mirror"-ს.

## ისტორიული ფოტო

### ეს იყო 37 წლის წინათ...



1966 წლის 23 ივლისი, ლონდონი.
მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი
ინგლისი-არგენტინა 1:0. ინგლისის ნაკრების მეკარე
გორდონ ბენქსი
მოწინააღმდეგის მიერ დარტყმულ ბურთს იჭერს.

## ფეხბურთი

# დაიღუპება თუ არა კატალონია

დიმიტრი ობოლაძე

სამშაბათს, 18 თებერვალს, ზამთრის შესვენების შემდეგ, განახლდება UEFA-ს ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. მეორე ეტაპის დარჩენილი 4 ტური საინტერესო იქნება. მან რამდენიმე შეკითხვას უნდა უპასუხოს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ესპანური ფეხბურთის გრანდის, კატალონიის "ბარსელონას" ბედი, რომლისთვისაც ზამთარი "ნაყოფიერი" გამოდგა. გუნდიდან თანმიმდევრობით წავიდნენ მწვრთნელი, ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი და პრეზიდენტი, ხუან გასპარი, რომლის პოზიციაც, ერთი შეხედვით, ხელშეუხებელი ჩანდა. "ბარსელონა" ევროპის და, ალბათ, მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია. დიდი ფული ძალაუფლებას ნიშნავს. კატალონიელთა საამაყო გუნდის ხელმძღვანელთა პოზიციები კი უბრალო გულშემატკივარმა და მედიამ ერთობლივად, შეთანხმებული მოქმედებით შეარყიეს. ლუის ვან გაალს და გასპარს ვერც ჩემპიონთა ლიგაში წაუგებელმა სერიამ უშველა ("ბარსელონა" ერთადერთი გუნდია, რომელსაც მიმდინარე გათამაშებაში ზედიზედ 10 მატჩი აქვს მოგებული). ესპანური პრესა, UEFA, გულშემატკივარი არსებულ პრობლემებზე საუბრობს. განსაკუთრებით საგულისხმოა ლეგენდარული ჰოლანდიელის, იოჰან კრუიფის მოსაზრება: "კატალონიაში ფეხბურთი გაცილებით მეტია, ვიდრე, უბრალოდ, თამაში. ეს აქ რელიგიაა და კატალონიელები მის აბუჩად აგდებას უცხოელ მწვრთნელს კი არა, საკუთარ მშობელს არ აპატიებენ". "აბუჩად აგდება" - ეს ფრაზა კრუიფს შემთხვევით არ უთქვამს. კლუბის გულშემატკივარი თავიდანვე უნდობლობით შეხვდა ლუის ვან გაალის გა-



რადომირ ანტიჩი

დაწყვეტილებას, როცა მან რივალდო გუნდიდან გაუშვა. თან ისე, რომ კლუბს ერთი ევროც არ მიუღია. როგორც ჩანს, ვან გაალს იმდენად არ უყვარდა რივალდო, რომ ის სეზონის ბოლომდეც ვერ აიტანა. თუ გავიხსენებთ მსოფლიო ჩემპიონატს და ბრაზილიელის კარგ თამაშს, გასაკვირია პრეზიდენტ გასპარის პოზიციაც, როცა იგი უსიტყვოდ დაეთანხმა ვან გაალს. გულშემატკივრებისა და ჟურნალისტებისგან დაშინებული გასპარი პირველ მარტს აღარ დაელოდა და გუნდიდან წავიდა. იოჰან კრუიფი: "წარმოიდგინეთ სიტუაცია - შუა სეზონში გუნდი დატოვეს მწვრთნელმა და პრეზიდენტმა. ვინ მოსთხოვს ასეთ სიტუაციაში მყოფ კლუბს გამარჯვებებს, ჩემპიონთა ლიგის მოგებას? მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, ეს კატალონიაა, ეს "ბარსელონაა," რომელსაც მარტო ესპანეთში კი არა, მთელ მსოფლიოში აღმერთებენ." კრუიფმა იცის, რასაც ამბობს. მას "ბარსელონაში" ყველაზე მეტი - 306 მატჩი აქვს ჩატარებული, რაც სხვა მწვრთნელებისთვის მიუწვდომელი ციფრია. "საოცარი დრო იყო. ის დღეები არასოდეს არ დამავიწყდება. თავიდან გვიჭირდა, შემდეგ კი დაიწყო და დიდხანს გაგრძელდა გამარჯვებათა სერია, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში შევიდა. ჩვენ მარტო კი არ ვიგებდით, ამას მსუბუქად, ეფექტურად და ერთი ამოსუნთქვით ვაკეთებდით", - იხსენებს ლეგენდარული ჰოლანდიელი.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, თუ რა სერიოზული პრობლემის წინაშე დგას ვან გაალის მემკვიდრე, იუგოსლაველი მწვრთნელი, რადომირ ანტიჩი. ის ძალიან კარგად იცნობს ესპანურ ფეხბურთს, "რეალსა" და მადრიდის "ატლეტიკოში" 400-მდე თამაში აქვს ჩატარებული. რადომირ ანტიჩი: "ამ გადაწყვეტილების მიღება ძალიან გამიჭირდა. კარგად ვიცი, რაც მელის, თუმცა, ყველა მწვრთნელი ამბიციურია. მე მიხმეს მსოფლიოს უდიდესი კლუბის გადასარჩენად და არ შეიძლებოდა, ეს გამოწვევა არ მიმეღო". იუგოსლაველმა მუშაობა დაიწყო და მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯებიდან ცხადი ხდება, რომ გუნდში საკვანძო როლს ანტიჩი კატალონიელ ჰავის უმზადებს. ანტიჩის საყვარელი სისტემაა 4-4-2. "მე ძველი ფეხბურთი უფრო მომწონდა, - განაცხადა ჰავიმ, - მაშინ ხალხი სტადიონის ტრიბუნებს იმისთვის ავსებდა, რომ სიამოვნება მიეღო. ბოლოს ისე ვთამაშობდით, მაყურებელი გასართობად მოდიოდა. ამას წერტილი უნდა დაესვას. ეს ხომ "ბარსელონაა".

როგორც "ბარსელონას" მაგალითიდან ჩანს, თანამედროვე ფეხბურთში, სადაც დიდი ფული და ტოტალიზატორი მეფობს, მხოლოდ სიმდიდრე საკმარისი არ არის. კვლავ გასპარის მაგალითს დავუბრუნდეთ. მან სატრანსფერო ბაზარზე 180 მილიონი ევრო დახარჯა. საბოლოოდ კი გულშემატკივრის წყრომა მოიმკა. ნდობის აღსადგენად "ბარსას" თავკაცებს ერთადერთი გზა აქვთ - გამარჯვება და მხოლოდ გამარჯვება. ანტიჩის დებიუტი ბილბაოს "ატლეტიკის" წინააღმდეგ შედგა. "ამ მატჩის მოგება პირადად ჩემთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, - განაცხადა ანტიჩმა, - თუმცა, მე მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი". ანტიჩი რეალისტი აღმოჩნდა - მან, თუ მის სიტყვებს დავეყრდნობით, განაცხადა, რომ რეალურად აფასებს სიტუაციას და იცის: პრიმერადივიზიონში, სადაც "ბარსელონა" სამარცხვინო, მეთხუთმეტე ადგილზეა, საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად ველარ იბრძოლებს.

# "ლაციო" და დელა პენია მორიგდნენ

არა და არ ელევა პრობლემები რომის "ლაციოს". შარშან სერჯო კრანიოტის გუნდი სერია A-ს საგარანტიო თანხის გადაუხდელობის გამო ადრიანო გალიანიმ ლამის უმაღლესი ლიგიდან გარიცხა. სიტუაციის გამოსასწორებლად "ლაციომ" ორი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი - ალესანდრო ნესტა და ერნან კრესპო მილანელებს მიჰყიდა და თითქოს ცოტა ამოისუნთქა, მაგრამ კრანიოტის დიდხანს არ დასცალდა მოსვენება. როგორც კი კლუბის ფინანსური მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა, კრანიოტის აუჯანყდნენ ის ფეხბურთელები, რომელთაც კრიზისის გამო რამდენიმე თვის ხელფასი არ ჰქონდათ მიღებული.

ჰოლანდიელი იაპ სტამი და ესპანელი ივან დელა პენია "ლაციოს" ყველაზე მსხვილი მევალეები არიან. კლუბს იმდენი მართებს ამ ორი ფეხბურთელისა, რომ, მათთვის ხელფასის გადახდის შემთხვევაში, კრანიოტის გუნდს გაკოტრებაც კი ემუქრება. არადა, ლეგიონერები "ლაციოს" სასამართლოში ჩივილით ემუქრებიან.

ახლახან ცნობილი გახდა, რომ ივან დელა პენიას ადვოკატმა და "ლაციომ" კონსენსუსს მიაღწიეს. რომაული კლუბი ესპანელს, ჯერჯერობით, 250 ათას ევროს გადაუხდის, დანარჩენ თანხას კი მოგვიანებით დაფარავს.

## კრივი

# 22 თებერვალს ტაისონის ბედი გადაწყდება

## ლუისზე შურისძიება მხოლოდ ეტიენის განადგურების შემდეგ იქნება შესაძლებელი

22 თებერვალს მაიკ ტაისონი კვლავ გავა რინგზე. ზუსტად 6 დღეში მემფისში გაიმართება მაიკ ტაისონისა და კლიფორდ ეტიენის ორთაბრძოლა. ამ დღეს გაირკვევა, ღირს თუ არა, რომ ერთ დროს მსოფლიოს უძლიერესმა მოკრივემ კარიერა გააგრძელოს. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ტაისონის მწვრთნელი ფრედი როუჩი.

"მაიკისთვის ეს გადამწყვეტი ბრძოლა იქნება. თუ ვერ მოიგებს, მაშინ მისი კარიერა დასრულდება. თუ მაიკი ვერ დაამარცხებს კლიფორდ ეტიენის კალიბრის მოწინააღმდეგეს, ის ველარასოდეს გახდება ჩემპიონი", - ამბობს როუჩი, თუმცა, დარწმუნებულია, რომ ტაისონი ნამდვილად გაიმარჯვებს: "ის თავდაუზოგავად ვარჯიშობს, მაგრამ თუ 22 თებერვალს კარგად ვერ იჩხუბებს, კრივიდან წასვლაზე უნდა იფიქროს".

ეტიენის წინააღმდეგ ბრძოლა ტაისონის უკანასკნელი მცდელობაა, რათა გააქარწყლოს ყველა ეჭვი, რომლებიც გასულ ზაფხულს,



მაიკ ტაისონი

ლენოქს ლუისთან შეხვედრის შემდეგ წარმოიშვა. 2002 წლის ივნისში ინგლისელი მოკრივის წინააღმდეგ ბრძოლაში განცდილ მარცხს თითქოს წერტილი უნდა დაესვა ტაისონის კარიერისთვის, თუმცა, ექსჩემპიონი რევანშის აღებას აპირებს. ტაისონს სურს, მომავალ ზაფხულს კვლავ შეხვდეს ლუისს. თუმცა, ამისთვის მან სწორედ ეტიენი უნდა დაამარცხოს, თანაც, დამაჯერებლად. ფრედი როუჩი ამბობს, რომ მხოლოდ გამარჯვება არ იქნება საკმარისი: "მაიკმა ეს ბრძოლა შთამბეჭდავად, დიდი უპირატესობით უნდა მოიგოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში მიაქცევენ მას პრომოუტერები ყურადღებას და ლუისთან შეხვედრის საშუალებას მისცემენ".

"რინგზე მაიკმა უნდა აჩვენოს, რისი უნარი შესწევს. მხოლოდ სენსაციური გამარჯვება მისცემს მას შანსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ტაისონის მიმართ ინტერესს დაკარგავს. მან მე მითხრა, რომ ამ ხნის მანძილზე პირველად გაუჩნდა ბრძოლის სურვილი. ვარჯიშზე მისი შემართება ამას ადასტურებს", - ამბობს როუჩი.

შეძლებს თუ არა ტაისონი სენსაციური გამარჯვების მოპოვებას, ამას 22 თებერვალს ვნახავთ.

## ფორმულა 1

# დიდ ფულზე უარის თქმა ძნელია

*ევროპა, შესაძლოა, მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე ეტაპს დაემშვიდობოს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი 2005 წლის ივლისიდან თამბაქოს პროდუქციის აკრძალვას გეგმავს, ფორმულა 1 თამბაქოს ინდუსტრიის გიგანტებთან თანამშრომლობის გაგრძელებას აპირებს.*

თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ევროკავშირი თამბაქოს რეკლამას 2006 წლიდან აკრძალავდა, მაგრამ ევროკავშირის პოზიცია გუნდებს თავიანთ სპონსორებთან კონტრაქტის გაწყვეტას აიძულებს. ბუნებრივია, ასეთი რამ მათ არ აწყობთ, რადგან გუნდები დიდ ფულს კარგავენ. გაცილებით იოლია, "მოსაწევად" ახალი ადგილი იპოვო.

"ევროკავშირი არჩევანს არ გვიტოვებს. ევროპაში ჩასატარებელი რბოლების რაოდენობა მაქსიმალურად უნდა შევამციროთ. გუნდებს თამბაქოს მწარმოებლებთან ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული და მათ შეწყვეტას კი არა, გაგრძელებას აპირებენ", - განაცხადა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მაქს მოსლიმ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმულა 1-



მაქს მოსლი

ის რამდენიმე ევროპული ეტაპი მსოფლიო ჩემპიონატის კალენდრიდან გაქრება. ბელგიისა და ავსტრიის შემდეგ, რბოლის გარეშე დარჩენის საფრთხე, სულ ცოტა, ორ ქვეყანას ემუქრება. ევროკავშირის ტერიტორიიდან რბოლები გაქრება მანამ, სანამ მათი რაოდენობა თამბაქოს მწარმოებლებს არ დააკმაყოფილებს და არ შეთანხმდებიან, რომ რამდენიმე რბოლა მათი პროდუქციის რეკლამის გარეშე გაიმართოს. დაახლოებით ორი წლის წინ ავტოსპორტის ფედერაცია დაეთანხმა ევროკავშირს, რომ 2006 წლიდან თამბაქოს ყოველგვარ რეკლამას აკრძალავდა. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ევროკავშირმა პროცესის დაჩქარება დააპირა და აკრძალვის თარიღად 2005 წლის 1 ივლისი დაასახელა. როგორც ირკვევა, ფორმულა 1-სა და რალის, თამბაქოს ინდუსტრიის გიგანტებთან გაფორმებული ხელშეკრულების წყალობით, ყოველწლიურად 350 მილიონი დოლარი აქვთ შემოსავალი. ბუნებრივია, ისინი ამ ფულის დაკარგვას არაფრით დათანხმდებიან. დღეს უკვე მრავლად იმართება ეტაპები არაევროპულ ქვეყნებში - იაპონიაში, ბრაზილიაში, მალაიზიაში, აშშ-ში. ახლო მომავალში მათ რიცხვს შეემატებიან ბაჰრეინი და ჩინეთი, რიგში დგანან ეგვიპტე, ინდოეთი, მექსიკა. როგორც ხედავთ, ავტოსპორტის ფედერაციას დიდი არჩევანი აქვს. ამასთან, აღმოსავლეთში რბოლების გასამართად მზად არიან, დიდი ინვესტიციები განახორციელონ. ეს, განსაკუთრებით, ეგვიპტეზე ითქმის. გავრცელებული ინფორმაციით, იქაური ფირმები 200-მილიონდოლარიან ინვესტიციას აპირებენ. ძნელია, ასეთ ფულზე უარი თქვა.

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადების კუპონი

16.02.03 N-45

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პრემიერა
ანტონინ დვორჟაკი "სერენადა"
ქორეოგრაფი გიორგი ალექსიძე, დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 12:00 სთ

**თეატრალური სარდაფი**
სამუელ ბეკეტი "გოდოს მოლოდინში", რეჟ. ნიკა კიკაჩეიშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"ყველაზე დიდი სასწაული", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი, თორნიკე ღლონტი
დას: 14:00; ფასი 3,5 ლარი
კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი
"ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს", რეჟ. გოგი მარგველაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**მარჯანიშვილის თეატრი**
"ყბედი თუთიყუში", რეჟ. მედეა კუჭუხიძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
"ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ, ფასი 2,3 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"გოდოს მოლოდინში", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გალერეა**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა "ჩვენ მომავალი ოლიმპიელები ვართ"

**ეროვნული გალერეა**
ნანა მჭედლიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გიორგი უსტიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
"ტაო-კლარჯეთი", კახა შენგელაიას ნამუშევრების გამოფენა
ვიდეოარტი "არტერია"

**TMS**
ბრიტანეთის საელჩოს ფოტონამუშევრების გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 15:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"პლუტონეში"
დას: 17:00 სთ; ფასი 6,7 ლარი
"აბა დამიჭირე"
დას: 19:00; 22:00; ფასი 8,9 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემალები"
დას: 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

**„ელისო„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემალები"
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 135 კვ.მ. ფართობის ბინა ახალაშენებულ სახლში ფალიაშვილის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან. 96 30 93

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული ბინა ახალ პრესტიჟულ სახლში მარჯანიშვილის ქუჩაზე. 96 30 93

შევიძენ გასარემონტებელ 1,5 ან 2-ოთახიან ბინას დაბალ სართულზე ყიფშიძეზე. 8(99) 28 05 55

იყიდება მშენებარე ბინა ვაკე-ვერაზე. 23 58 07

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000.
ტელ: 38-32-50

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაკდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.
ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

იყიდება სასადილო „მონალიზა", როიალი „როინიში" და კაბინეტი „ჩეპენდელი". 95 88 71

სასწრაფოდ იყიდება დიღმის მასივის ცენტრში საოფისე ფართი, 160 კვ.მ. სავაჭრო, სარიტუალო ან ნებისმიერი ბიზნესისთვის. 52 80 19

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

## სწავლება

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი).
tel: 64-63-40, 893 282-559

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

ვასწავლი საქორწილო ტორტებისა და ნამცხვრების მორთვას თანამედროვე სტილში. 74 57 07 ქეთინო

უნივერსიტეტის ლექტორი და სკოლის მასწავლებელი მოამზადებს მოსწავლეებს ფიზიკა-მათემატიკაში. 38 63 73 ზურა

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## ეპილაცია

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

## სხვადასხვა

კატალოგის მიხედვით ვაშენებთ და ვაპირკეთებთ ბუხარს. 39 86 91 გიორგი

მოვუვლი ბავშვს ერთი წლის ასაკიდან. ანაზღაურება შეთანხმებით. 68 26 25 ნათია (საღამოს)

იყიდება ინვალიდის ეტლი კარგ მდგომარეობაში. 120 ლარი. 60 54 48 გიორგი

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელის და ფეხის ასაღდგმელი ქამრები ბრტყელტერფიანებისთვის, სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. 53 46 41

პირველად თბილისში ახალი ტიპის საკვირაო სკოლა უზრუნველყოფს ბავშვთა აქტიურ დასვენებას და მრავალმხრივ შემეცნებას მსუბუქი გასართობი ფორმებით, ფსიქოლოგიური სამსახურით. ვერის პარკთან. 98 72 54, 8(77) 43 21 02, 8(99) 56 35 31

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

**გეპატიჟებათ**
**კაფე-რესტორანი**
**„იმედი"**
გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
**სანდრო ეულის ქ. 1.**
**8(93) 21 76 12**

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

## TV პროგრამა 16 თებერვალი

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
09.20 მულტსერიალი
10.50 სერიალი „ათასწლეული"
11.50 სიმფსონები
12.50 მხ.ფილმი
14.35 ველური ბუნება
15.05 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „კოლომბო"
18.00, 00.40 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო"
18.45 სერიალი „სახლი ძველ უბანში"
19.15 ველური ამბები
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი"
21.00 60 წუთი
22.25 ჩვენი ეზო
22.45 „ჯეოსელის კინოკლუბი" - „შეხება" 8 77 45-79-25 კევინ კოსტნერი, „მეორე ჭეშმარიტება" 8 77 45-79-26, მიშელ მერსიე, რობერ ოსეინი, „უნებლიე მილიონერი" 8 77 45-79-27 ვაინონა რაიდერი, ადამ სანდლერი.
00.50 მხ.ფ. „ბრწყინვალე ბონება" მთ. როლებში რასელ ქროუ, ჯენიფერ კორელი.
03.00 კლასიკა.

### პირველი არხი

08.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „ტუჩები განვადებით"
10.00 „დილის პაემანი"
11.05 „ამბები ჩვენზე"
11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში
12.05 „სპა"
12.35 „პრეს-სტუდია"
13.25 მოსკოვი-თბილისი
13.55 „ღამის ჯაზი"
14.25 არათბილისური ამბები
15.00 საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე
15.20 კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატი. თსუ-„ბასკო" მე-2 ტაიმი.
16.10 მხ. ფილმი „ზამთრის ძილქუში"
17.35 ტელეზღაპარი
18.00 ტაიმ-აუტი
18.20 „სახსოვარი"
18.50 დოკ. ფილმი „მსოფლიოს ბაზრები"
19.25 „ჩვენი მისამართია"
20.00 ტაიმ-აუტი
20.55 „ამბობენ"
21.25 ტელესერიალი „ქალები ზღვისპირეთში" მე-4 ს.
22.15 ქართ. მხ. ფილმი „თემო"
23.55 ტაიმ-აუტი
00.25 მხ. ფილმი „არლეტი"

### პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 განმეორებით უცხოური მუსათეული
14.00 სმს შოუ
17.00 ფილმი „სტიუარტ ლიტლი -2" მთ. როლში ჯინა დევისი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 ქართული მუსათეული
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 ფილმი ბრავო „სისხლის მარტოობა" მთ. როლში ინგებორგა დანკუნაიტე, გოშა კუცენკო
01.45 ფილმი ღამურა „ექვსი" მთ. როლში რიშარ ანკონინა, კიარა მასტროიანი
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00 მხიარული კარუსელი
19.30 დიზაინი
19.50 შეხვედრები ფიქრის გორაზე
20.30 საქ. მატიანე
21.00 მაღალი მოდის სამყარო (დოკ. ფილმი)
21.50 ვარსკვლავები გვამცნობენ
22.00 შვიდეული
23.00 მხ. ფილმი „მეორე სამყარო"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 ალსავალი
08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50 მუსიკა
08.30 ახალი ამბები
09.00 მხ. ფილმი „ოცნების ზღვარი"
10.20 მხ.ფ. „უბრალო ისტორია"
13.00 გადაცემა - მურადა (განმეორებით)
19.30 დოკ. ფილმი
20.00 მხ. ფილმი „ბიჭები ბრუნდებიან"
22.00 ტელე-სინე-ვიდეო
23.00 მხ.ფ. „შეყვარებული თომა"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „ბორნის პიროვნების საიდუმლო"
15.00 მხ. ფილმი „ადამიანი რკინის ნიღაბში"
17.00 მხ. ფილმი „ეპიდემია"
19.00 ინდ. მხ. ფილმი „ტყუპები"
22.00 მხ. ფილმი „სახელმწიფოს მტერი"
00.10 მხ. ფილმი „შუაღამის ექსპრესი"

### მეცხრე არხი

09.30 დღის ამბები
09.40 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.00, 11.15, 13.25 15.50, 19.10, 23.40, 01.35 მუსიკა
10.10 რუს.მხ. ფილმი „უკვდავი კავშირი"
11.25 მხ. ფილმი „გენერალი"
13.40 მხ. ფილმი „ბრწყინვალე წლები"
16.10 დოკ. ფილმი „ცირკის ხელოვნება" მე-2 ნ.
17.00 მულტფილმი „გრაფი მონტე-კრისტო"
18.00 დოკ. ფილმი „ცირკის ხელოვნება" მე-5 ნ.
18.30 დოკ. ფილმი „ფლამინგო" მე-2 ნ.
19.30 გადაცემა „მსოფლიო ფეხბურთი"
20.00 ქართ. მხ. ფილმი „ანემია"
22.15 მხ. ფილმი „თანამგზავრები"
00.10 მხ.ფილმი „თვითმკვლელობის მეფეები"

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 „ყველანი ვართ პატარები"
09.30 მულტფილმი „ტომი და ჯერი"
10.00 საბავშვო ფილმი „ოთხფეხა მეგობარი"
12.15 მითოლოგიური ფილმი „ოდისეა" 2 სერია
14.30 დრამა „უკანასკნელი სურვილი"
16.15 მულტფილმი „მგლის ლეკვი"
17.35 თრილერი „პატრიოტი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.30 კომედია „სამსახურეობრივი რომანი"
22.30 Новости в воскресенье
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.30 Новости в воскресенье
01.00 კომედია „მკურნალი ადამსი"
03.30 თრილერი „პირადი მცველი ქალიშვილისათვის"

### VII არხი

17.10 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
17.30 „ლა-ლა-ლა"
18.00 ევროპული ფეხბურთი
19.00 „აჩიკუდა"
19.50 კომპიუტერული თამაშები
19.55 „ავტოტრეკინგი"
20.45 „კინოკლუბი „ - „რაზმ „დელტა"-ს ოპერაცია" ა.შ.შ. 1997 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ. სემ ფირსტენბერგი. როლებში: ერნი ხადსონი, ჯეფ ფეიხი.
22.15 მობილურები
22.55 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა
23.15 აუდიო-ვიდეო-ტელე
23.50 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი" -იტალიის ჩემპიონატი.
01.45 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

08.00, 11.00, 15.00 Новости
08.10 Сериал „Флиппер"
08.55 Сериал „Твинисы"
09.15 Служу России!
09.45 Дисней-клуб: „Тимон и Пумба"
10.10 „Все путешествия команды Кусто: Морские найденыши"
11.10 „Непутевые заметки"
11.30 Пока все дома
12.15 Дог-шоу
13.00 Фильм П. Шеремета. „Своя чужая земля"
13.45 „Клуб путешественников"
14.30 Дисней-клуб: „Утиные истории"
15.10 „Властелин вкуса"
16.05 Умницы и умники
16.30 „Новый день". „Искатели". Версия тунгусского взрыва
17.00 „Новый день". „Клоуны". Карандаш и Клякса
17.35 Воскресный „Ералаш"
18.00 Док.сериал „Живая природа". „Братья по крови"
19.00 Времена
20.10 Все звезды в праздничном концерте „Газпрому - 10 лет"
22.50 Комедия „Шесть дней, семь ночей"
00.45 Бокс. Юрий Романов - Бобби Ванзи
01.30 Триллер „По взаимному согласию"
03.15 Горные лыжи. Чемпионат мира. Слалом. Пер. из Швейцарии

### РТР

07.30 Комедия „Прорыв"
08.50 Мультсериал „Джуманджи"
09.15 Русское лото
10.05 „ТВ Бинго-шоу"
10.35 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе
11.15 „Утренний разговор" с Д. Киселевым
11.45 „Городок". Дайджест
12.15 Худ.фильм „Самолетом, поездом, автомобилем"
14.10 Парламентский час
15.00 Вести
15.20 Вокруг света
16.15 Диалоги о животных
17.10 „Мир на грани"
17.45 Комната смеха
18.40 Комедия „Внутреннее пространство"
20.50 В „Городке"
21.00 Вести недели
22.10 Специальный корреспондент
22.35 Худ. фильм „Взаперти"
00.50 Худ.фильм „Радиоволна"

### НТВ

08.10 Худ.фильм „Полундра!"
08.40 Вкусные истории
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Комедия „Щедрое лето"
10.25 Лотерея „Шар удачи"
11.05 Сериал „Бушующая планета"
12.05 „Растительная жизнь"
12.40 Вы будете смеяться!
13.05 Важные люди в программе „Влияние"
13.40 „Торговцы смертью". „Профессия - репортер"
14.05 Комедия „Осенние соблазны"
15.45 Вкусные истории
16.00, 17.00, 19.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.20 НТВ представляет: „Истории охотника за крокодилами"
17.45 „Цель - московская прописка". Ток-шоу „Принцип „Домино"
19.05 Худ.фильм „Человек в железной маске"
22.00 „Намедни"
23.30 Боевик „Чистильщик"
01.25 Сериал „Клан Сопрано"
02.15 Журнал Лиги чемпионов




# ყველაზე ლამაზი და ყველაზე თაფლისფერი თვალები



პოპულარული ინგლისური გაზეთი SUN ძალიან მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლით დაკავდა: ვისა აქვს ამქვეყნად ყველაზე ვნებიანი თვალები? ცხადია, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებს შორის.

გაირკვა, რომ ბრიტანელი კომიკოსის, ჯონი ვეგასის ბადალი არავინ ყოფილა. ჯონი 31 წლისაა და კომედიური დრამით, "ბედნიერებით" გაითქვა სახელი. მან ხმათა უმრავლესობა მოიპოვა და ისეთ პოპულარულ მსახიობებს "აჯობა", როგორებიც ჯორჯ კლუნი და დენზელ ვაშინგტონი არიან. გამარჯვებულთა ხუთეულში, მათ გარდა, მომღერალი რობი უილიამსი და მამაცი გლადიატორი, რასელ კროუ შევიდნენ.

ქალთა შორის გამარჯვებული ლათინოამერიკელი ვარსკვლავი, ჯენიფერ ლოპესია. ხუმრობა საქმეა – მისმა მზერამ უკვე მესამე ქმარი მიიზიდა! ლოპესთან ერთად ძლიერი სქესის წარმომადგენლებს თურმე ავსტრალიელი მომღერალი, ნატალი იმბრულია, მსახიობი კელი ბრუკი, Destiny's Child-ის წევრი, ბეიონს ნოულსი და სოფი ელის ბექსტორი აღელვებთ.

SUN იმასაც წერს, თუ ვინაა ყველაზე არასექსუალური თვალების პატრონი. ამ ნომინაციაში პირველ ადგილზე მაიკლ ჯექსონი გავიდა. მეორე ადგილი Simply-Red-ის სოლისტმა, მიკ ჰენკელმა დაიკავა, შემდე არიან კომიკოსი ვიკ რივზი და ჩოგბურთელი ბორის ბეკერი, და "საშინელი" თვალების ხუთეულს ბრიტანელი რადიოწამყვანი, მილიონერი კრის ევანსი აგვირგვინებს.

"ამ წლის სიყვარულში" მთავარი როლის შემსრულებელი კეტი ბერკი გამოკითხულთა უმრავლესობამ უიმედოდ ასექსუალურად მიიჩნია. ბრიტანელებს არც პრინც ჩარლზის არჩევანი მოსწონთ – მისი მეგობარი, კამილა პარკერ ბოულზი, მეხუთე ადგილზე გავიდა.

მამაკაცების 82 და ქალების 72 პროცენტმა დაუფიქრებლად განაცხადა, რომ ყველაზე მიმზიდველი თაფლისფერი თვალებია. ისიც საინტერესოა, რომ გამოკითხულ ქალბატონთა ორ მესამედს ერთი ნახვით შეყვარებიათ თავიანთი კაცები, და მამაკაცებიც იზიარებენ იმ აზრს, რომ მთავარია რჩეულს თვალებში ჩახედო...

## სკანდინავიური კროსვორდი




## სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მისაპოვებლად შემდეგ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობანი თავმოყრილი. პროგრამები მაგისტრის ხარისხის მისაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (ბრიტანეთი) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მისაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (ბრიტანეთი) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები იწყება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მომდევნო კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი
$5950
ხანგრძლივობა 1წ.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მისაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულება 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინრის ბაკალავრის ხარისხის მისაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულება £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას,
ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მთავარ წარმომადგენელს
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67



## DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო გთავაზობთ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯავშნა ყველაზე იაფ ფასებში ადგილზე ვაუჩერის გაცემით, Club Med-ის კურორტები, Disnay Land, კრუიზები გემით - წყნარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებზე, მანქანის დაქირავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სამთო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულთათვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით, რუსეთის და ევრო ვიზები.

DERTOUR

მისამართი: გამსახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge



## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.








იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში